ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 29 მარტი, №5-6 (6491)

# ყვაჩელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 60 თეთრი



## სისხლის უანგარო დონაცია

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ-ის თანამშრომლებმა მიიღეს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „სისხლის ბანკს“ შორის ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმად ყვარლის მუნიციპალიტეტი აქტიურად იქნება ჩართული ლეიკემიითა და სხვა მძიმე პათოლოგიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად.



## დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის იუბილე აღნიშნეს



საინტერესო ღონისძიება გაიმართა 12 მარტს, ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში .საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის იუბილე მუზეუმის თანამშრომლებმა რაიონის საზოგადოების წარმომადგენლობასა და უფროსკლასელებთან ერთად აღნიშნეს.მომხსენებლებმა ისაუბრეს ქართული პარლამენტარიზმის შესახებ,გამოკვეთეს მისი ისტორია,მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არსებობის სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში,მოკლედ მიმოიხილეს აღნიშნული ორგანოს მთელი საქმიანობა.განსაკუთრებული იყო ნიკა გურინისა და მაკა ვარამიშვილის გამოსვლები,რომლებიც სპეციალური მოწვევით იმყოფებოდნენ ღონისძიებაზე.

მუზეუმის თანამშრომლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს ფონდში არსებული მასალები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით, ისაუბრეს ილიას როლსა და მნიშვნელობაზე.

## ყვარელი კრუპსკისთან დამეგობრდა

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბელორუსის რესპუბლიკის კრუპსკის რაიონს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ თანამშრომლობაზე მემორანდუმი გაფორმდა. მხარეები ეკონომიკის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ტურიზმის და სპორტის მიმართულებით განავითარებენ თანამშრომლობას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ბელორუსის რესპუბლიკის ეკონომიკა აღმავლობით მიდის და განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია, სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგებში.

იმედია, ბელორუსები საკუთარ გამოცდილებას გაგვიზიარებენ და ჩვენს ფერმერებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაზარდონ პროდუქტიულობა მეცხოველეობაში და საჰექტარო მოსავლიანობა მემცენარეობაში.



## სამდღიანი ტრენინგი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სხდომათა დარბაზებში 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ტრენინგი ყვარლის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისთვის, სადაც განსახილველი ძირითადი თემა იყო „სამოქალაქო ჩართულობა და ადვოკატირება“.

ტრენინგს უძღვებოდა არაფორმალური განათლების ცენტრის „მზიანი სახლის“ ტრენერი ნოდარ მამინაიშვილი, რომელმაც აღნიშნა:

სახელმწიფო – ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

**ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფო შედგება 3 სექტორისაგან:**

**1. სამთავრობო სექტორი:** საკანონმდებლო ხელისუფლება /აღმასრულებელი ხელისუფლება/ სასამართლო.

**2. ბიზნეს სექტორი:** წვრილი ბიზნესი /საშუალო ბიზნესი/ მსხვილი ბიზნესი.

**3. სამოქალაქო სექტორი:** მედია / არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) საზოგადოება.

სამთავრობო და ბიზნეს სექტორი შექმნილია იმისათვის, რომ ემსახუროს სამოქალაქო სექტორს, მაგრამ კაცობრიობის მიერ განვლილი გზის მანძილზე ხშირად ხდებოდა, როდესაც პირველი და მეორე სექტორი იღებდა და ახორციელებდა მესამე სექტორისთვის საზიანო გადაწყვეტილებას.



**მაგალითი 1.**

*თუკი სამთავრობო სექტორში მოღვაწე რომელიმე მცირე ჯგუფმა ჩაიგდო ძალაუფლება ხელში, დაუწყო კარნახი ბიზნეს და სამოქალაქო სექტორს და აიძულა თავისი შეხედულებისამებრ მოქმედება, მაშინ ჩვენ მივიღებთ ავტოკრატიას.

**ზოგადი აღწერა:** სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროს მთელი ძალაუფლება უჭირავს ერთ ადამიანს (ან მასთან დაახლოებულ ვიწრო ჯგუფს), ცდილობს მოირგოს საზოგადოებაზე მზურნველი იმიჯი. ეს არის გარდამავალი ეტაპი დემოკრატიიდან ტოტალიტარიზმისკენ და პირიქით. ახდენს როგორც დემოკრატიული, ისე ტოტალიტარული მმართველობის ცალკეული ნიშნების შეთავსებას, თუმცა, სრულყოფილად არ წარმოადგენს არც ერთს და არც მეორეს.

დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორთან: ფარულად მართავს მედიისა და არასამთავრობო სექტორის ნაწილს და ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას. რეალურად სამოქალაქო დაკვეთას ასრულებს მხოლოდ მაშინ, თუკი მისთვის ეს მომგებიანია, ან „იძულებულია“, რომ შეასრულოს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

## „ნურავის დატოვებ მიღმა!“

ნურავის დატოვებ მიღმა ! – მსოფლიოში, ამ სლოგანით აღინიშნა წელს, 21 მარტი, დაუნის სინდრომის დღე!

ამ დღესთან დაკავშირებით, ყვარლის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში, ყვარლის კულტურის ცენტრის და ილიას მუზეუმის ძალისხმევით გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელსაც უძღვებოდა ქალბატონი მაგული საакიშვილი. მოწვეულები იყვნენ, ყვარლის პირველი და მეორე საჯარო სკოლებიდან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, მათი მშობლები და პედაგოგები. ასევე, გრემის თემის ბენეფიციარები და მათი გერმანელი სტუმრები, რომლებმაც ქალბატონ მაგულისთან ერთად შეასრულეს, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქართული ფოლკლორული სიმღერები. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თავად სსმ ბავშვები, რომლებმაც წაგვიკითხეს ილიას ლექსები, შეასრულეს სიმღერები და წარმოადგინეს საკუთარი ხელით შექმნილი ნამუშევრები, გაზაფხულის თემაზე.



ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა ასევე, კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ანა-ბანა“. ბავშვებს მიესალმა ილიას მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი თამარ ზურიაშვილი და სიმბოლური საჩუქრებიც გადასცა.

**ია გიგიაშვილი**

# სამდღიანი ტრენინგი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

დამოკიდებულება პოლიტიკურ სექტორთან: უჭირს კრიტიკის მოსმენა და ყველანაირად ცდილობს რეალური ოპოზიციის დაკნინებას. თუმცა ჰყავს მართვადი ოპოზიცია და ფასადური დემოკრატიის საჩვენებლად ხანდახან თანამშრომლობს მასთან.

დამოკიდებულება ბიზნეს სექტორთან: ნაციონალიზირებული აქვს ბიზნესის ყველა სტრატეგიული სფერო და ცდილობს გავლენის ქვეშ მოაქციოს მსხვილი ბიზნესი. ახასიათებს კორუფცია საშუალო და მაღალ დონეზე.

*თუკი ავტოკრატიის განმახორციელებელმა მცირე ჯგუფმა გააფართოვა თავისი გავლენა სამთავრობო სექტორზე და უფრო დიდი ძალით დაუწყო ბიზნეს და სამოქალაქო სექტორს კარნახი და იძულება, მაშინ ჩვენ მივიღებთ დიქტატურას.

ზოგადი აღწერა: სრული ძალაუფლება უჭირავს ერთ პოლიტიკურ პოზიციას, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ ჯგუფს (პარტიას, გაერთიანებას ან კლასს). კანონმდებლობას „ირგებს ტანზე“, თავდაჯერებულია, ტკბება ძალაუფლებით და მმართველობას ახორციელებს პირდაპირი დირექტიული გზებით.

დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორთან: უმეტესად ჰყავს მართვადი მედია და სამოქალაქო სექტორი. გარკვეული დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტები არსებობენ, თუმცა მთავრობის თვითნებობის წინაშე მათი გავლენა დაყვანილია ნულამდე.

დამოკიდებულება პოლიტიკურ სექტორთან: პოლიტიკურ ოპონენტებთან იყენებს რადიკალურ და რეპრესიულ ზომებს, მკაცრად ახშობს და აღკვეთს მათ უფლებებს, დევნის ქვეყნიდან ან სვამს ციხეში.

დამოკიდებულება ბიზნეს სექტორთან: ნაციონალიზებული აქვს ბიზნესის ყველა სტრატეგიული სფერო და მსხვილი ბიზნესი. მხოლოდ საშუალო და წვრილი ბიზნესი რჩება დამოუკიდებლად, ახასიათებს ელიტარული კორუფცია.

*თუკი დიქტატორის განმხორციელებელმა ჯგუფმა მოიპოვა აბსოლუტური და საყოველთაო გავლენა სამთავრობო სექტორზე და უფრო ტოტალურად დაუწყო ბიზნეს და სამოქალაქო სექტორს კარნახი და იძულება, მაშინ ჩვენ მივიღებთ ტოტალიტარიზმს.

ზოგადი აღწერა: პრეტენზიას აცხადებს, რომ ზრუნავს მოსახლეობის საყოველთაო ინტერესებზე და ამ მოტივით არეგულირებს საზოგადოებრივი საქმიანობის აბსოლუტურად ყველა სფეროს, გაუქმებული აქვს მრავალპარტიულობა, სრულადაა გაბატონებული პიროვნებაზე და მართავს „შოუს“ მეთოდით.

დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორთან: აბსოლუტურად ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტი არის მთავრობის მაქებარი და მისი ინტერესების გამტარებელი, თუმცა შენარჩუნებული აქვს „ფასადური დამოკიდებულება“.

დამოკიდებულება პოლიტიკურ სექტორთან: პოლიტიკური წინააღმდეგობების რეგულირებას ახდენს ძალისმიერი მეთოდებით და ფიზიკურად ანადგურებს მოწინააღმდეგეებს.

დამოკიდებულება ბიზნეს სექტორთან: ნაციონალიზირებული აქვს ბიზნესის ყველა სფერო და ყველა სახის (მსხვილი, საშუალო თუ წვრილი) ბიზნესი. კორუფცია ფორმალურად „არ არსებობს“, თუმცა – ელიტარულია.

დასკვნა 1: საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ სამთავრობო სექტორში მოღვაწე რომელიმე ჯგუფმა მოიპოვოს იმხელა გავლენა, რომ უპირობოდ დაიწყოს მხოლოდ თავისი ინტერესების კარნახი და იძულება ბიზნეს და სამოქალაქო სექტორის მიმართულებით!

**მაგალითი 2.**

*თუკი ბიზნეს სექტორში მოღვაწე რომელიმე მცირე ჯგუფმა ( კანონიერი თუ უკანონო გზებით) მოიპოვა გავლენა სამთავრობო და სამოქალაქო სექტორში მყოფ ჯგუფებზე და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დაუწყო მათ კარნახი და იძულება, მაშინ ჩვენ მივიღებთ ოლიგარქიას.

ზოგადი აღწერა: ძალაუფლება კონცენტრირებულია მცირე ადამიანთა ჯგუფის ხელში, რომელიც უფრო მეტად ემსახურება მსხვილი კაპიტალის ინტერესებს, ვიდრე ქვეყნის ყველა მოქალაქეს. ამ რეჟიმის წარმომადგენლები შესაძლოა თავად იყვნენ მთავრობის წევრები ან არ იყვნენ, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებებზე, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორთან: თავს აწონებს მედიასა და სამოქალაქო სექტორს. კარგად ფლობს და იყენებს ღ-ის ყველა ხერხებს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისათვის. ხშირად მიმართავს მოსყიდვას და აუცილებლობის შემთხვევებში მიმართავს უკიდურეს და ხისტ მეთოდებს.

დამოკიდებულება პოლიტიკურ სექტორთან: ჰყავს გავლენიანი ლობისტები და კვალიფიციური სპიკერები, რომლებიც დებატებში ხშირად თავ-გზას უბნევენ და „ამარცხებენ“ პოლიტიკურ ოპონენტს (მათ შორის დემაგოგიისა და პოპულიზმის გამოყენებით).

დამოკიდებულება ბიზნეს სექტორის მიმართ: მონოპოლიზირებული აქვს ყველა სტრატეგიული სფერო და ცდილობს გავლენის ქვეშ მოაქციოს მსხვილი ბიზნესი. ახასიათებს როგორც ელიტარული, ისე საყოველთაო კორუფცია.

დასკვნა 2: საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ ბიზნეს სექტორში მოღვაწე რომელიმე ჯგუფმა მოიპოვოს იმხელა გავლენა, რომ უპირიბოდ დაიწყოს მხოლოდ თავისი ინტერესების კარნახი და იძულება სამთავრობო და სამოქალაქო სექტორის მიმართულებით!

**მაგალითი 3.**

*თუკი საზოგადოების ცალკეულმა ჯგუფებმა ანდა ინდივიდებმა მასობრივად განაცხადა უარი სამთავრობო და ბიზნეს სექტორების მიერ შემოთავაზებული წესების მიღებაზე და თავად მოახდინა ამ 2 სექტორის მიმართულებით საკუთარი ინტერესების კარნახი და იძულება, მაშინ ჩვენ მივიღებთ ანარქიას.

ზოგადი აღწერა: სახელმწიფო მართვის სიტემის უძლურება ან არარსებობა, ხალხის მიერ ხელისუფლების დაუმორჩილებლობა, თვითნებობა, უწესრიგობა, განუკითხაობა. მაღალია კრიმინალის მაჩვენებელი. მმართველობა ხორციელდება ქაოტურად და „კლანური“ პრინციპით.

დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორთან: მედია და სამოქალაქო სექტორი ძალზე სუსტია, მისი დიდი ნაწილი თვითგადარჩენით არის დაკავებული და ამიტომაც არ ეხება მთავრობისთვის მნიშვნელოვან თემებს.

დამოკიდებულება პოლიტიკურ სექტორთან: სუსტი პოლიტ. ოპონენტები არიან კარჩაკეტილად ან იდევნებიან, ძლიერებს ჰყავთ შეიარაღებული დაჯგუფებები და სხვადასხვა კლანებთან „შეთანხმებულნი“ არიან გავლენის სფეროებზე.

დამოკიდებულება ბიზნეს სექტორის მიმართ: სხვადასხვა გავლენიან „კლანებს“ მონოპოლიზირებული აქვს ყველა სტრატეგიული სფერო და მსხვილი ბიზნესი. ყველა სხვა ბიზნესი თვითგადარჩენით არის დაკავებული. ახასიათებს საყოველთაო კორუფცია.

*თუკი NGO-სა და მედიის ცალკეულმა წარმომადგენლებმა მოიპოვეს გავლენა საზოგადოებაზე, უარი განაცხადეს სამთავრობო და ბიზნეს სექტორის მიერ შემოთავაზებული წესების მიღებაზე და თავად მოახდინა ამ ორი სექტორის მიმართულებით საკუთარი ინტერესების კარნახი და იძულება, მაშინ ჩვენ მივიღებთ რევოლუციას.

რევოლუცია – მმართველობითი სისტემის ძალადობრივი და ძირფესვიანი ცვლილება, რათა მოხდეს სასურველი ცვლილებები.

დასკვნა 3: საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, რომ სამოქალაქო სექტორში მოღვაწე რომელიმე ჯგუფმა მოიპოვოს იმხელა გავლენა, რომ უპირობოდ დაიწყოს მხოლოდ თავისი ინტერესების კარნახი და იძულება სამთავრობო და ბიზნეს სექტორის მიმართულებით.

და ბოლოს!!! – დემოკრატიის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს სამ სექტორს (სამთავრობო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორებს) შორის უფლება-მოვალეობების ბალანსში!!!





### პოლიტიკური/სამოქალაქო მონაწილეობა

პოლიტიკური/სამოქალაქო მონაწილეობა გულისხმობს ნებაყოფლობით და მიზანმიმართულ ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ პროცესში ადამიანი იყენებს თავის შესაძლებლობებს, აცნობიერებს საჭიროებებს და როლებს, საკუთარ და საზოგადოებრივ სარგებელსა და პასუხისმგებლობას.

მონაწილეობის კიბეს გააჩნია 8 საფეხური, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს საფეხურებია:

1. მანიპულაცია;
2. დეკორაცია;
3. სიმბოლიზმი;
4. დავალება და ინფორმირება;
5. კონსულტაცია და ინფორმირება;
6. ნაკლებად ავტორიტეტის ინიცირება;
7. ავტორიტეტის ინიცირება;
8. გაზიარებული გადაწყვეტილება.

*მონაწილეობის კიბის პირველ სამ საფეხურზე (მანიპულაციაზე, დეკორაციასა და სიმბოლიზმზე) მოქალაქეები საერთოდ ვერ ახდენენ გავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე. ამიტომ მათ ეწოდებათ „არ მონაწილეობის საფეხურები“.

*მონაწილეობის კიბის მეოთხე და მეხუთე საფეხურზე (დავალება და ინფორმირება და კონსულტაცია და ინფორმირება) მოქალაქეთა გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაემთხვევა მათი მოსაზრება გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შეხედულებებს. ასეთი შემთხვევები უფრო ხშირად ხდება გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, ამიტომაც მათ ეწოდება „გარდამავალი მონაწილეობის საფეხურები“.

*მონაწილეობის კიბის ბოლო სამ საფეხურზე ჩართულ პირებს აქვთ მაქსიმალური გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, ამიტომ მათ ეწოდება „დემოკრატიული მონაწილეობის საფეხურები“.

1. მანიპულაცია – გარკვეულ საკითხთან მიმართებაში ძალაუფლების წარმომადგენლები მოქალაქეებს უსვამენ კითხვებს და ყველანაირად ცდილობენ, რომ მიიღონ ისეთი პასუხები, რომლებიც მხოლოდ მათ (ძალაუფლების წარმომადგენლებს) აწყობთ. ამისთვის იყენებენ ზეწოლას, მუქარას, მანიპულაციას, ტყუილებს და ისეთ „შენიღბულ“ კითხვებს, რომელთა ნამდვილ არსს მოქალაქეები ვერ ხვდებიან.

2. დეკორაცია – მოქალაქეები მხოლოდ ფორმალურად იღებენ მონაწილეობას ძალაუფლების წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, მაგრამ რეალურად გააზრებული არ აქვთ მისი მნიშვნელობა.

3. სიმბოლიზმი – ძალაუფლების წარმომადგენლები მხოლოდ ფორმალურად ინტერესდებიან რაიმე საკითხებთან მიმართებაში მოქალაქეების აზრით. მოქალაქეები აფიქსირებენ საკუთარ შეხედულებებს, თუმცა მათ იდეებს ნაკლებად აქვთ განხორციელების შანსი, რადგან ძალაუფლების წარმომადგენლები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით სვამენ საკითხს და იძლევიან ბუნდოვან დაპირებებს, სინამდვილეში არც კი გეგმავენ ამ საკითხის გადაწყვეტას.

4. დავალება და ინფორმირება – ძალაუფლების წარმომადგენლები იჩენენ ინიციატივას და გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით სათათბიროდ იწვევენ მოქალაქეებს. ისინი თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს და მხოლოდ ბოლოს იგებენ, რომ განსახილველი საკითხი წინასწარ არის გადაწყვეტილი ძალაუფლების წარმომადგენლების მიერ.

5. კონსულტაცია და ინფორმირება – ძალაუფლების წარმომადგენლები იჩენენ ინიციატივას და საკონსულტაციოდ იწვევენ მოქალაქეებს. ისინი თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, ხოლო ძალაუფლების წარმომადგენლები ყურადღებით უსმენენ მათ. მიუხედავად ამისა, შეხვედრის დასრულების შემდეგ გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ ძალაუფლების წარმომადგენლები (მოწვეული მოქალაქეების გარეშე).

6. ნაკლებად ავტორიტეტის ინიცირება – მოქალაქეები თავად ახდენენ იდეის ინიცირებას, განხორციელებასა და მართვას – ძალაუფლების წარმომადგენლების ჩარევის გარეშე.

7. ავტორიტეტის ინიცირება – ძალაუფლების წარმომადგენელი საკითხის განსახილველად იწვევს თემის წევრებს, ყველა მოქალაქე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის გზით.

8. გაზიარებული გადაწყვეტილება – არ აქვს მნიშვნელობა ვის ეკუთვნის ინიციატივა, იკრიბება თემის ყველა წევრი (ძალაუფლებისა და გავლენის სხვადასხვა დონის მქონე პირები) და გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივი ძალისხმევით.

### ადვოკატირების რაობა, მიზანი და ამოცანები

ნებისმიერ საზოგადოებაში ყოველთვის არის რაღაც (საკითხი, მოვლენა ან მდგომარეობა), რომლის შედეგებიც არ აკმაყოფილებს საზოგადოების რომელიმე ჯგუფს;

იგივე საზოგადოებრივ ჯგუფს ხშირად აქვს ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა;

ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა განხორციელდეს ცვლილებები.

ცვლილებების განხორციელების გზებია:

ლოდინი – სანამ ხელმძღვანელი პირები გააცნობიერებენ ცვლილებების აუცილებლობას და თავად მოახდენენ მას (ახაიათებს მოქალაქეთა ჩაურევლობა, პასიურობა);

რევოლუცია – მმართველობითი სისტემის ძალადობრივი და ძირფესვიანი ცვლილება, რათა მოხდეს სასურველი ცვლილებები (ახასიათებს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა);

ადვოკატირება – კერძო ან კოლექტიური ინიციატივით განხორციელებული არაძალადობრივი ქმედება, რომელიც განაპირობებს სასურველ ცვლილებებს (ახასიათებს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა).

ადვოკატირების მიზანია გავლენა მოახდინოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ცვლილებებით კანონმდებლობაში, ნორმატიულ აქტებში, ბიუჯეტში და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში.

ადვოკატირების წინაშე დგას სამი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა:

1. პრობლემების წარმოჩენა;
2. პრობლემებთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლა (ანუ ცნობიერების ამაღლება);
3. პოლიტიკის შექმნა და განხორციელება.

ტერმინი „პოლიტიკის“ განმარტება: წესებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებისთვის კეთილდღეობის მომტანი რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის დასარეგულირებლად და მოსაწესრიგებლად.

ადვოკატირება შესაძლოა ჩატარდეს:

პერნამენტული პროცესის ან ერთჯერადი ღონისძიებების სახით;

კერძო ან სამოქალაქო სექტორის მიერ სამთავრობო პირების მისამართით;

ეროვნულ, რეგიონალურ, ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე.

ადვოკატირება ყველაზე ხშირად ერევათ:

თემის მობილიზებაში

საინფორმაციო კამპანიაში

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში.

### ადვოკატირების ფორმები

ადვოკატირების ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი აქტივობა ან მექანიზმი, რომელიც გამოიყენება საკითხის გარშემო ცნობიერების ასამაღლებლად, საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ყოველივე ამით – გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის მოსახდენად და ადვოკატირების მიზნების მისაღწევად.

### მედია და ადვოკატირება

ეს არის მედია საშუალებების გამოყენება, რათა მოხდეს ფართო საზოგადოების ინფორმირება ადვოკატირების საკითხის გარშემო და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ყურადღების მოპყრობა. მასში შედის:

1. ტრადიციული მედია (პრესა, რადიო, ტელევიზია) და
2. სოც-მედია (სოციალური ქსელები).

მედია ადვოკატირება ძალიან ძლიერი ინსტრუმენტია, რადგან იგი:

უბიძგებს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს მოქმედებისკენ, რადგან მათ სჯერათ, რომ საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია;

ზრდის მოსახლეობის ჩართულობას, რადგან იზრდება მათი ინფორმირებულობა;

ზრდის თქვენ მიერ წამოჭრილი პრობლემის წონას, რადგან ხაზს უსვამს მის უარყოფით გავლენას ადამიანებზე და იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.

ადვოკატირების ეტაპები:

1. პრობლემის დადგენა;
2. ინფორმაციის შეგროვება;
3. მისაღწევი შედეგის განსაზღვრა;
4. დაგეგმვა;
5. წარმართვა;
6. შეფასება.

ტრენინგის მიმდინარეობის დროს ირჩეოდა პრაქტიკული მაგალითები, იმართებოდა თამაშები.

სამოქალაქო საბჭოს წევრები ღრმად გაერკვნენ ადვოკატირების რაობაში და მნიშვნელოვანი ცოდნა შეიძინეს პრაქტიკული საქმიანობის სწორად წარმართვისათვის.

ტრენინგის ჩატარების ორგანიზაციული საკითხები მოაგვარეს და მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდული ხედვა კახეთის გამგეობის თავმჯდომარე ლანა გაუარაშვილი და თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის წარმომადგენელი დიანა რანკიაშვილი.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ განათლების, შრომისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლება.



21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს აღინიშნა. ამ დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები იმართება. ეს დღე საქართველოშიც აღინიშნა, რომლის მიზანია დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა ღირსებისა და უფლებების დაცვა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე გაეროს ეგიდით 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. თარიღი 21.03 სიმბოლური ხასიათისაა, რადგან დაუნის სინდრომი 21-ე ქრომოსომის გასამებით ვლინდება.

მსოფლიოში ყოველი 800-დან 1 ბავშვი დაუნის სინდრომით იბადება. ამ სინდრომის მქონე ბავშვი შესაძლოა ეყოლოს ნებისმიერ ადამიანს, რადგან იგი არათუ დაავადება, არამედ გენეტიკური ცვლილებაა.

სინდრომი გოგონებსა და ბიჭებში ერთნაირი სიხშირით ვლინდება.

დაუნის სინდრომი არის ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული დაავადება, რომლის დროსაც ნაცვლად 46 ქრომოსომისა, გვხვდება დამატებით ერთი ქრომოსომა 21-ე წყვილში, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება.

დაავადება პირველად აღწერა ინგლისელმა ექიმმა ჯონ ლენგდონ დაუნმა. მან 1866 წელს ინგლისში გამოაქვეყნა ესსე, სადაც აღწერა იმ ბავშვების ჯგუფი, რომლებიც საერთო ნიშნით გამოირჩეოდნენ დანარჩენებისაგან.

დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა რაც დაკავშირებულია, როგორც ბიოლოგიურ ფაქტორებთან ასევე ბავშვის რეაბილიტაციასთან. ისინი უფრო გვიან სწავლობენ ჯდომას, სიარულს, ლაპარაკს, თამაშს ყველა ზემოთხენებული უნარის განვითარება ინდივიდზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების გონებრივი შესაძლებლობები გარკვეულწილად, შეზღუდულია, ისინი ცხოვრებაში წარმატების მიღწევას მაინც ახერხებენ.

დღეს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები დადიან ჩვეულებრივ ბაღებსა და სკოლებში, ჩართულნი არიან შემოქმედებასა და სპორტში. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები მუშაობენ და ღირსეულად ატარებენ დროს ახლობლების წრეში.



არსებობს დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები; ბავშვს შეიძლება რამდენიმე ნიშანი ჰქონდეს, ან თითქმის ყველა მათგანი ახასიათებდეს. ყველაზე გავრცელებული ნიშნებია:

კუნთთა დაბალი ტონუსი-ჰიპოტონია;
სახის ბრტყელი პროფილი;
ცხვირის ფართო, ჩაღრმავებული ხიდი, პატარა ცხვირი;
თვალის ირიბი ჭრილი;
დეფორმირებული (დისპლასტიური) ყური;
მოკლე, ფართო ხელები, ხელის გულზე ერთი ღრმა ხაზი;
მე-5 თითზე ორის ნაცვლად ერთი მოსახრელი სახსარი;
დიდი დაშორება ფეხის დიდ და მეორე თითს შორის;
პირის პატარა ზომა;
პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა;
განიერი ტერფი პატარა თითებით;
მოკლე კისერი;
პატარა თავი;
ეპიკანტუსი – თვალების შიდა კუთხეში კანის პატარა ნაოჭი;

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია:

გულის თანდაყოლილი მანკები;
საჭმლის გადამუშავების პრობლემები;
ბავშვობის პერიოდის ლეიკემია;
მხედველობის და სმენის დარღვევები;

ჯანმრთელობის აღნიშნული პრობლემების უმეტესობა დღეს განკურნებადია. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც გაიზარდა. დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი გვიან სწავლობს ჯდომას, სიარულს, ლაპარაკს, თამაშს, საყოფაცხოვრებო, ყოველდღიურ ჩვევებს.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან ფიზიკური და სოციალური გარემოსადმი. მათი წყენინება ძალიან ადვილად შეიძლება; ამავე დროს ისინი სწრაფად რეაგირებენ მეგობრულ და მშვიდ დამოკიდებულებაზე. მათ უყვართ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, სიახლე, ცნობისმოყვარენი არიან.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ნელა სწავლობენ და ნელა ითვისებენ ჩვევებს,მაგრამ ისინი ძალიან მონდომებულნი არიან; მათი წახალისება მეტად ეფექტურია სწავლების და აღზრდის პროცესში.

არც ერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ერთმანეთს არ ჰგავს, თუმცა გარეგნული მსგავსება დიდია. მათ, ისევე როგორც სხვა ბავშვებს განსხვავებული უნარ-შესაძლებლობები და ნიჭი აქვთ; უმეტესობას აქვს იოლი და საშუალო ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა, მცირე პროცენტს კი – ძლიერი ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა.

ამავე დროს გახსოვდეთ, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხი და I მაჩვენებელი არ არის საკმარისი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის შესაცნობად. ყოველ კონკრეტულ ბავშვს საკუთარი უნიკალური შესაძლებლობები – ძლიერი და სუსტი მხარეები, ნიჭი აქვს.

ისინი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებენ. ზოგიერთ ბავშვს შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლა, ზოგისათვის სპეციალური კლასია საჭირო, ზოგიერთისათვის კი – სპეციალური სკოლა. მოზარდების უმრავლესობას შეუძლია დაეუფლოს რაიმე პროფესიას ან ხელობას საკუთარი ინტერესების და ნიჭის შესაბამისად. ზოგიერთს დიდი დრო და სპეციალური მომზადება სჭირდება მარტივი ოპერაციების ასათვისებლად, ზოგიერთი კი რთულ საქმიანობას ეუფლება სპეციალური ტრენინგის საშუალებით. ხელობის ათვისებაც ინდივიდუალური პროცესია. მთავარი ის არის, რომ ადეკვატური მიდგომის შემთხვევაში, ბავშვის შესაძლებლობების და ხასიათის გათვალისწინებით, უკვე მოზრდილ დაუნის სინდრომის მქონე პიროვნებას შეუძლია კონკრეტული სამუშაოს შესრულება. მას მოსწონს საზოგადოებრივ ურთიერთობებში აქტიური მონაწილეობის მიღება, სამუშაოს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და გულმოდგინედ ასრულებს.

21 მარტს მთელს მსოფლიოში აღნიშნავენ და კიდევ ერთხელ ახსენებენ საზოგადოებას, რომ დაუნის სინდორმის მქონე ადამიანებს აქვთ განათლების, შრომისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უფლება.

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**






# თუ გინდა, რომ ტექდათვალიერება წარმატებულად გაიარო

ავტომობილების სავალდებულო ტესტირების შემოღებამ ურთულეს სიტუაციაში ჩააყენა ავტომფლობელები, ვინაიდან საქართველოში არსებული ავტომობილების 80 პროცენტზე მეტი ხანდაზმულია და მათი ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მოყვანა გვარიანი თანხა ჯდება და ოჯახის ბიუჯეტს ანადგურებს. ავტომობილი კი ყოველდღიური მოხმარების ატრიბუტად იქცა და მის გარეშე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-პატრონობა, ანდა ნებისმიერი სახის ბიზნესის წარმართვა წარმოუდგენელია. სოფლად ოჯახების ბიუჯეტი კი ვენახებიდან და სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მიღებული მოსავლის რეალიზაციით მიღებული ფინანსებით განისაზღვრება.

ამიტომაც თითოეული ადამიანი იძულებული ხდება ავტომობილი ისე მოამზადოს, რომ ტესტირების ცენტრში დახარვეზების გარეშე გაიაროს, რათა ხელი არ შეეშალოს გადაადგილებასა და ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულებაში. ამის უზრუნველსაყოფად კი სოლიდური თანხის გაღება დასჭირდება, მით უმეტეს, რომ ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გამყიდველებმა მათი სარეალიზაციო ფასი, ხოლო ავტოშემკეთებლებმა მომსახურების ანაზღაურება ასტრონომიულ ციფრებში აიყვანეს.

ადამიანების უმეტესობა იძულებული ხდება ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს მიაკითხონ, რათა გამოვლენილი დეფექტები ერთი თვის განმავლობაში გამოასწორონ. ქვეყანაში არსებული საფინანსო დაწესებულებები კი ისეთ „ჰუმანურები“ არიან, რომ გაჭირვებულ ადამიანებს მაღალ პროცენტებში ხომ არ ჩაახრჩობენ! ერთი სიტყვით სანერვიულო და საფიქრალი მოემატა მშრომელ კაცს, ზოგი იმ ზომამდე მიდის, რომ რამის არის ბენზინი გადაასხას ავტომანქანას და მოიშოროს სატკივარი, მაგრამ ლუკმა-პური რით იშოვოს! ტრანსპორტირების გარეშე ხომ წარმოუდგენელია ნებისმიერი საქმის კეთება. დარწმუნებული ვარ ბევრს დააინტერესებს თუ რა შედეგით დავამთავრე ტესტირების გამოცდა.

საახალწლოდ თანხა დავზოგე, რადგან 15 თებერვალს უნდა მიმეყვანა ავტომობილი ტესტირებაზე, აქედან დაიწყო საოჯახო ბიუჯეტის გაღარიბებაც.

საახალწლოდ დაზოგილი ფინანსით პირველ რიგში საბურავები შევიძინე, ხოლო შემდგომ ეტაპზე ვიზუალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გავიღე სოლიდური თანხა, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ფულის ხარჯვის პროცესი. სავალი ნაწილების და ტორმუზების სისტემის მოწესრიგებაც აუცილებელი გახდა.

15 თებერვალს იმედიანად მივაშურე ყვარელში გახსნილ ტესტირების ცენტრს, ყველაფერი ნორმაში აღმოჩნდა, მაგრამ კომპიუტერმა CO-ს გამოყოფის ისეთი ციფრი ამოაგდო, რომ დაწესებულ ნორმატივს 5-ჯერ გადააჭარბა.

იძულებული გავხდი კრედიტის ასაღებად ბანკში მისულიყავი და ყვარელში მოქმედ ავტოშემკეთებლებს მივაშურე, სამწუხაროდ საწვავის სისტემის მოქმედების ნორმაში დარეგულირება ვერავინ შეძლო, მაგრამ მომსახურების საფასურს ყველა იღებდა.

ამასობაში მოცემული ერთთვიანი ვადის ბოლო დღეებიღა დარჩა და გადავწყვიტე ახალი კატალიზატორი და გამონაბოლქვის დაჩიკი შემეცვალა, რამაც 500 ლარამდე თანხა შეიწირა. საბოლოო ჯამში ხარჯმა 1500 ლარს გადააჭარბა, მადლობა ღმერთს CO-ს გამონაბოლქვი ნორმაში ჩაჯდა და როგორც იქნა ტექდათვალიერების პროცესი დავამთავრე.

ამ წერილით, იმის დამტკიცება მინდა, რომ კატალიზატორის გარეშე, რომელიც CO-სთან შედის რეაქციაში და მის ბოლომდე დაწვას, ანუ $CO_2$-ად (ნახშირორჟანგად) გარდაქმნის, წარმატებულ ტესტირებაზე ფიქრი ზედმეტია. ამიტომ, ავტომფლობელებმა პირველ რიგში კატალიზატორის შემოწმება უნდა მოახდინონ.

ტექდათვალიერებაზე ავტომობილების მიერ გამოყოფილ CO-ს უხარისხო საწვავიც განაპირობებს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში უმეტესწილად აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავი იყიდება, რომლის რეალიზაციაც მთელ მსოფლიოშია აკრძალული (მხოლოდ ორ ქვეყანაში ჩვენთან და აზერბაიჯანში იყიდება). ამიტომაცაა, რომ ტექდათვალიერებაზე მისვლამდე ავტომფლობელები რომპეტროლის საწვავს ასხამენ.

მოსაწესრიგებელია ასევე საგზაო ინფრასტრუქტურაც, რაზეც შესაბამისმა სამინისტროებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება და პრობლემების დროულ მოგვარებაზე იფიქრონ.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**








# ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდი

ჩვენი ქვეყნის ღირსეულო, უკან დაუხეველო, ხალხის სათაყვანებელო ერთგულო ჯარისკაცო, სათნოებით, სიყვარულით, ზნეკეთილობით სავსე პირველო პრეზიდენტო, ბატონო ზვიად, გილოცავთ საიუბილეო თარიღს.

თქვენ ბრძანდებით ის პრეზიდენტი, რომელმაც თავგანწირული შრომით მოაპოვებინე ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა, დიდი ხნის ნანატრი ოცნება აუხდინეთ ქართველ ხალხს. ჩაატარეთ რეფერენდუმი, აღადგინეთ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. 1991 წლის 27 აგვისტოს დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესი, რომელიც შეუქცევადი ხდებოდა და პუტჩის დღეებშიც გრძელდებოდა, ანუ 6 იანვრამდე 29 სახელმწიფომ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. არ გაუმართლდათ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ჩვენი ქვეყნის ავის მოსურნეებს, (მე მათ ოპოზიციად არ ვთვლი, რადგან ჩემის აზრით ოპოზოციონერი არის ის, ვინც კარგს დადებითად აფასებს, ცუდზე კი ხმას აღიმაღლებს) რომლებიც მთელი ხმით გაჰკიოდნენ: „თუ გამსახურდია დარჩება ქვეყნის სათავეში, დასავლეთის ქვეყნები არ სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობასო“.

თქვენი პრეზიდენტობის სულ მცირე დროში (7 თვე) რამდენი რამ მოასწარით. „არ შეიძლება საკუთარი თავისა და საკუთარი ხალხის მოტყუება, ამაზე მწარე ხვედრი, ამაზე შემზარავი დანაშაული არ არსებობს“ – ბრძანებს ბატონი ზვიადი. აი ნათელი სახე ზნეობრივი პოლიტიკოსისა.

ცრემლები მადგება თვალებზე, როცა მახსენდება როგორი ეპითეტებით გამკობდნენ, როგორ შეითქვნენ თქვენს წინააღმდეგ, დიახ ვერ გიგუებდნენ, იმიტომ, რომ თქვენს ფონზე, რბილად რომ ვთქვა, ძალიან უფერულად გამოიყურებოდნენ. არასოდეს დამავიწყდება ფილარმონისს დარბაზში შეკრებილები როგორ აგულიანებდნენ ერთმანეთს თქვენი ფიზიკური განადგურებისაკენ. თქვენი საოცარი ქარიზმით ერთ მუშტად შეკარით საქართველო, ნაცნობი თუ უცნობი სიყვარულითა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. უშიშრად დადიოდა ხალხი დღე და ღამე. ახლა კი ჩვენი ტელევიზიები საინფორმაციო გადაცემებს იწყებენ: ძმამ ძმა მოკლა, მამამ შვილი, შვილმა დედა და ა. შ. აი სადამდე მიგვიყვანა სიყვარულის არ არსებობამ. აღარავინ არის თქვენისთანა მქადაგებელი სიყვარულისა. ისინი ტყვიებს გვესვრიან, ჩვენ ყვავილები ვესროლოთო“. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი ღმერთის, სამშობლოს და მოყვასის სიყვარულის მქადაგებელი იყავით ყოველთვის, უფლის რჩეული ხართ ბატონო ზვიად, რომლებიც როგორც ზაურ ბედიამ თქვა (რომელმაც ბატონი ზვიადი გროზნოში გადააფრინა) „საუკუნეში ერთხელ იბადებიან“. მეც იგივე აზრის ვარ. მწერალი, პოეტი, ლიტერატორი, მეცნიერი, შესანიშნავი მუსიკოსი, პოლიგლოტი, რომელმაც იმ დონეზე იცოდით ენები (არა ზოგიერთებივით საყველპურო) რომ თარგმნიდით ფრანგულიდან, ინგლისურიდან, გერმანულიდან და ა.შ. ძველი ბერძნულის შესწავლაც დაიწყეთ. გკითხეს ეს რაღად გინდაო, უპასუხეთ: სახარება დედანიდან უნდა ვთარგმნოო.

ეჰ, ბატონო ზვიად, ჩემი გულისტკივილი მინდა მოგაწვდინოთ. სკოლებიდან რელიგიის ისტორიის სწავლება ამოიღეს და სექსუალური განათლების შემოღებას აპირებენ. მინდა ვკითხო მათ, ჩვენი თამარ მეფის დროს, როცა 12 მილიონი ვიყავით, ახლა მისი ნახევარიც აღარ ვართ, სექსუალურ განათლებას ასწავლიდნენ, თუ ფილოსოფიას, ასტრონომიას (ჰო, მართლა, ესეც ამოიღეს სწავლებიდან) გეომეტრიას, ბუნებისმეტყველებას, მედიცინას და სხვა.

ეჰ, ბატონო ზვიად, როგორ მენატრება თქვენი ვაჟკაცური, ომახიანი, სასიამოვნო ხმის ტემბრის გაგონება, რომ კიდევ ერთხელ მოგვიწოდოთ ქვეყნის სიყვარულისკენ და შეგვკრათ ერთ მუშტად ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად.

სუკის ჯურღმულებში როცა გამოგამწყვდიეს და საკანში კობრა შემოუშვეს, გალობა დაიწყეთ, ისე გავიდა კობრა, არაფერი უვნია თქვენთვის. აქვე გამახსენდა დიდი შოთა რუსთაველი „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან“.

არაჩვეულებრივად ისროდით მიზანში, როცა თქვენ და ბატონი დუდაევი გაეჯიბრეთ სროლაში, ტყვია ტყვიაში ჩასვით, მან თავის მასწავლებლად გაღიარათ.

ცნობილი მეცნიერი, ფიზიკოსი ანდრეი სახაროვი საქართველოს „მცირე იმპერიად“ მოიხსენიებდა. დიდი მეცნიერის ამ გამონათქვამს დაუყოვნებლივ გაეცით არგუმენტირებული პასუხი, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა. მოვიყვან მცირე ამონარიდს ამ წერილიდან: „პირად საუბარში თქვენ ჩემთვის, როგორც ფილოლოგისთვის, არაერთგზის მოგიციათ შენიშვნა ატომური ფიზიკის დარგში. ახლა კი ჩემი ჯერია გამხილოთ ჩემი ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის უცოდინარობაში“. ჩვენს ქვეყანაზე აუგის თქმას არავის ვპატიობდით და ვინც არ უნდა ყოფილიყო, რა თანამდებობის ან ტიტულების პატრონი. ამ მოკლე ამონარიდიდან მკითხველი ცხადია მიხვდება რა დონეზე უნდა სცოდნოდა ატომური ფიზიკა, რომ ასეთ დიდ მეცნიერთან, როგორც ანდრეი სახაროვი იყო, ფიზიკის საკითხებზე ესაუბრა.

არ შემიძლია არ გავიხსენო თქვენი წინასწარმეტყველური იგავ-ზღაპარი „სასწორთვალა და უწონადო ხმის ჭაბუკი“.

კვლავ მცირე ამონარიდს მოვიყვან ამ იგავ-ზღაპრიდან. „ქალაქს მიადგა ერთი უბრალო მწყემსი ბიჭი, რომელსაც ერთ ხელში კომბალი ეჭირა, მეორეში აბგა... ჭაბუკი მწყემსი გამოვიდა მოედანზე და ხალხში გაერია... სადაც იგი დგებოდა, ყინული იწყებდა დნობას და არნახული, ცხოველმყოფელი სითბო ეფინებოდა გარემოს, თუმცა მზე არ ანათებდა იმ ქვეყანაში არასდროს. მეორე დილით არნახული მუსიკის ჰანგებმა გამოაღვიძა ხელმწიფე და დიდებულები და გამოვიდნენ. საოცრად შეცვლილი დახვდათ ქალაქი, სად იყო ყინული და პირქუში ამინდი! სივრცე შვიდფერად გალობდა“. როგორ მინდა ჩემს სათაყვანებელ საქართველოშიც გამოჩნდეს უწონადო ხმის ჭაბუკი, რომ საყოველთაო სიყვარული გამეფდეს და მყისიერად შეიცვალოს ყოველივე დადებითისკენ. მჯერა, რომ ასე იქნება.

„შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედები – წერს პოეტი ლადო ასათიანი. ბევრჯერ მიფიქრია, როგორ იმეტებდნენ შვილებს ომში გასაგზავნად. მაგრამ პუტჩის დროს მივხვდი, რომ ეს შესაძლებელია თუ შენი ქვეყანა იმ უზომო სიყვარულით გიყვარს, რომელიც ბატონმა ზვიადმა იცის. ის ხომ უშიშარი იყო ვითარცა უხორცო. აგრეთვე ის გაიმეტებს შვილს ომში გასაგზავნად, ვისაც ღრმად აქვს გააზრებული შემდეგი გამონათქვამი; „ღმერთი დედამიწაზე ჩამობრძანდა და სამშობლო დაირქვაო“.

ახლა გავეცნოთ ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს, თუ როგორ აფასებენ და ახასიათებენ ბატონ ზვიადს:

1.მარგარეტ თეთჩერი: „ასეთი პრეზიდენტი ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდა“.

2. კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი, გმირი ინგუში ხალხის შვილი ქაძოევი: „ზვიადი მარადისობაში გადავიდა, თანამემამულეებს დაუტოვა რა თავისი მოძღვრება, მოძღვრება აგებული ოთხ დედაბოძზე:

1.ქართველი ხალხის დაბრუნება ღმერთთან

2.დაბრუნება წინაპართა ტრადიციებზე

3.პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა

4. „კავკასიელ ხალხთა ძმობა, საერთო კავკასიური სახლის შექმნა კავკასიის ყველა ხალხისათვის“.

ეჰ, ბატონო ზვიად, რამდენი ტკივილიანი, ტანჯვით და სევდით აღსავსე წელი გავლიეთ პუტჩის შემდეგ. ვერ ვეგუები და არც შემიძლია შევეგუო იმას, რომ თქვენ აღარ დაბრუნდებით თქვენს სათაყვანებელ საქართველოში. პანდორას ყუთში ხომ იმედი დარჩა, მეც ამ იმედით გავლევ დარჩენილ წლებს.

ჩვენი დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა არაჩვეულებრივი ლექსით როგორ გამოხატავს თავის გულისტკივილს: „ცრემლები მახრჩობს, ველარას ვამბობ, კარგის დაღუპვა რად გვენატრება? ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“ განა ზუსტად არ მიესადაგება ჩვენს დღევანდელ ყოფას?

ბატონო ზვიად, თქვენ ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნით, რომელზეც დაუსრულებლად შეიძლება წერა, მაგრამ მე ვერ შევძლებ – ერთი პატარა სოფლის უბრალო მასწავლებელი, რომ თქვენ ღირსეულად შეგასხათ ხოტბა. თუმცა მრავლად არიან ის ადამიანები, რომლებიც ულამაზეს ლექსებს გიძღვნიან.

მაგრამ მიიღეთ გულის სიღრმიდან დიდი სიყვარულით ამოძახილი ეს პატარა მილოცვა.

თქვენ ხომ ზეციური საქართველოდან გადმოჰყურებთ ჩვენს ქვეყანას.

**დოდო ბიაშვილი**



# მადლიერების წერილი

ძალიან დიდხანს ვფიქრობდი საიდან დამეწყო, – მე 81 წლის მარტოხელა პენსიონერი ვარ. უფალმა შვილი არ გვაჩუქა მე და ჩემს ქმარს, 55 წლის ვიყავი, როდესაც მეზობლებმა მიტოვებული 3 წლის ბავშვი მომიყვანეს გასაზრდელად. გარდატეხის პერიოდში ბიჭი გზას ასცდა და დაიწყო დალევა. შემდეგ მეუღლეც გარდამეცვალა. დავრჩით მარტოდ მე და ჩემი ავადმყოფი შვილი. ერთ დღესაც ნასვამ მდგომარეობაში სახლში დავარდა და ფეხი მოიტეხა. წელიწად ნახევარი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ალკოჰოლიდან ვერ გამომყავდა, უკიდურესი გახდა ჩვენი ცხოვრება. გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი გია კორაშვილი, უღრმესი მადლობა მას. თავისი ფინანსებით აიღო ვალდებულება და წაიყვანა თბილისში სამკურნალოდ, შემდეგ დაბრუნებისას უმკურნალა და ჩამოაშორა იმ ვერაგ ავადმყოფობას.

წინ კიდევ ერთი დიდი პრობლემა გველოდა, მოტეხილი ფეხი. კიდევ ექვსი თვე იწვა ლოგინად. მეგობრებმა წაიყვანეს ექიმთან. ძალიან დიდი თანხა სჭირდებოდა ოპერაციას და მე ამის საშუალება არ მქონდა.

P.S. როდესაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, სოციალური დახმარება მომიხსნეს. მეორე ღვთისნიერი ადამიანი გამოჩნდა ჩვენს ცხოვრებაში – ზურა ნემსაძე. არ ვიცი, რა სიტყვები მოვძებნო მადლიერების გამოსახატავად. ჯერ წერილობით მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს, ეგებ დახმარება გაეწიათ, მაგრამ ამაოდ, უარი მოგვივიდა იქიდან. მაინც არ დანებდა ბატონი ზურა და მითხრა: ნუ გეშინია, ქალბატონო ეთერი, არ მიგატოვებთ და რამეს მაინც მოვახერხებო. ერთ დღესაც მითხრა: გაემზადეთ ოპერაციისთვის. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დიდი მადლობა ლაგოდეხის „არქიმედის“ საავადმყოფოს ექიმებს: ირაკლი ვარადაშვილს, ბექა ქურციკიძეს, ზაზა ბალიაშვილს. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყვარლის მერს – ბატონ როსტომ სესიაშვილს, ბატონ დავით ელოშვილს და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მთელ ჯანდაცვის სამსახურს.

არ შემიძლია არ მოვიხსენიო დათოს მეგობრები, რომლებსაც დღე და ღამე არ გაეგებოდათ, მორალურად, ფიზიკურად, ფინანსურად სულ გვერდით ედგნენ. მე განგებ არ ჩამოვთვალე მათი სახელები, ვინაიდან, ისინი ძალიან ბევრნი არიან და მეშინია ვინმე არ გამომრჩეს. ღმერთმა ამრავლოთ. ყველას ვუხდი კიდევ ერთხელ დიდ მადლობას, ვისაც წვლილი მიუძღვის დათოს გამოჯანმრთელებასა და ფეხზე წამოყენებაში.

**პატივისცემით, ეთერი ნიკოლიშვილი-ქოჩორაშვილი**

**პატივცემულო აქციონერებო!**

**გაცნობებთ, რომ 2018 წლის 8 დეკემბერს სს „კორპორაცია ქინძმარაულის“ საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.**

**სს „კორპორაცია ქინძმარაულის“ დირექტორატი მოგმართავთ თხოვნით, ის აქციონერები, ვინც არ ესწრებოდნენ აღნიშნულ კრებას, გამოცხადდით საწარმოს იურიდიულ მისამართზე ( ი. ჭავჭავაძის 55-ში) და წარმოადგინეთ აქციათა საკუთრების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საბანკო რეკვიზიტები.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ აღნიშნულ მისამართზე სამუშაო დღეებში, 11-დან 16 საათამდე.**

**სს „კორპორაცია ქინძმარაულის“ დირექცია**

# უორდროპები და საქართველო!

მარჯორი სკოტ უორდროპის დაბადებიდან 150 წლის იუბილე აღნიშნა სსიპ ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმმა 22 თებერვალს. ეს წელი იუნესკოს ეგიდით მიმდინარეობს და თითქმის საქართველოს ყველა მუზეუმში აღინიშნება. ილიას მუზეუმი ერთ-ერთი პირველი იყო ამ იუბილეს აღნიშვნაში და ასეც უნდა ყოფილიყო. და-ძმა უორდროპები პირველად ილია ჭავჭავაძეს, მის მეუღლეს ოლღას და ქართულ მოწინავე ინტელიგენციას დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ. მარჯორი და ოლივერ უორდროპები პირველები იყვნენ, ვინც ქართული კულტურა და ლიტერატურა ევროპას გააცნეს. უორდროპების სიყვარული მარტო თარგმანებსა და პუბლიცისტურ წერილებში არ გამოიხატებოდა. ისინი ერთგვარ ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ: მათი სახლი სევენოუქსში (სადაც ახლა ჩინეთის საელჩოა) ქართული წიგნებითა და ნივთებით სავსე იყო. მარჯორი უორდროპი როცა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, მეტყველების უნარი წაერთვა თურმე, მაგრამ მაინც შეძლო ხელით თავისი სათაყვანო ქვეყნის სახელი შემოეხაზა ჰაერში.



ოლივერ უორდროპმა დის სიკვდილიდან რამდენიმე წელში იქორწინა და შეეძინა 3 შვილი, რომელსაც ქართველების უზომო სიყვარულით თავის შვილებს ძველი ქართული სახელები დაარქვა – ფარნაოზი, ანდრია და ნინო.

მუზეუმის დირექტორი თამარ ზურიაშვილი იხსენებს: „ალბათ ბევრმა არ იცის, რომ 1987 წელს ილიას 150 წლისთავთან დაკავშირებით ანდრო უორდროპი და სტივენ ჯონსი – უორდროპების სახელობის ერთ-ერთი სტიპენდიანტი ჩვენს მუზეუმში იმყოფებოდნენ. ინგლისურ ენოვანი რამდენიმე მეცნიერს მე ვუწევდი თარჯიმნობას. სტივენ ჯონსი მაშინვე ვიცანი ჩემი ლექტორი იყო ერთი წელი,მაგრამ მეორე, რომელიც ძლივს მოსცილდა უორდროპების სტენდს, შთაბეჭდილების წიგნთან მოვიდა და ასეთი რამ ჩაწერა, მე ახლა მივხვდი რატომ უყვარდათ მამიდას და მამას საქართველო, მათი სურნელი ტრიალებს აქაო. „რაც შეეხება, ნინოს იგი რამდენჯერმეა საქართველოში ნამყოფი, მეგობრობდა ბოდბის იაღუმენია – დედა თეოდორასთან, სავარაუდოდ ყვარელშიც არის ნამყოფი.

თანამედროვე საქარათველომ შესაბამისი პატივი მიაგო მარჯორი და ოლივერ უორდროპებს და მათი სახელობის სკვერში და-ძმის უმშვენიერესი ძეგლი დაიდგა.

ყვარლის მუზეუმში მუდმივ ექსპოზიციაში დათმობილია რამდენიმე სტენდი მათი ცხოვრების და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი, და მუზეუმის გადასწვრივ არსებობს და-ძმა უორდროპების ქუჩა და შესახვევი.

P.S ღონისძიებას, რომელსაც ესწრებოდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები ( VIII-XI კლასი), მუნიციპალიტეტიდან სტუმრები,კულტურის განვითარების ცენტრის თანამშრომლები, (გამოფენა და ლექცია – სემინარი-ქ.ნ ლიანა ავაზაშვილი, თ.ზურიაშვილი, ი. იოსებიანი )საინტერესო ვითარებაში ჩაიარა.

**ალეკო ქაფიანიძე**



# მარჯორი უორდროპი

მიმდინარე 2019 წელი ინგლისელი ქართველოლოგი ქალის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის ეგიდით მარჯორი უორდროპის წლად არის გამოცხადებული.

მარჯორი უორდროპმა და მისმა ძმამ ოლივერ უორდროპმა დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს ერს ქართული კულტურის ინგლისურენოვანი სამყაროსათვის გაცნობაში.

მსოფლიო მნიშვნელობის ამ დიდ ღონისძიებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ამ სახელოვანი და-ძმის კავშირი და ურთიერთობა XIX საუკუნის ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებთან, უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძესთან და ოლღა გურამიშვილთან.

უორდროპის გვარი წარჩინებული ინგლისური არისტოკრატიული გვარია.

მარჯორის უფროსი ძმა ოლივერი მოგზაურობით იყო გატაცებული, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი. იგი 1887 წელს საქართველოშიც ჩამოვიდა და ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე მოიარა.

ინგლისელ სტუმარს საქართველოში მასპინძლობას უწევდნენ ილია ჭავჭავაძე და ვანო მაჩაბელი. მათ ისეთი თვალით დაანახვეს სტუმრებს ჩვენი სამშობლო, ისე შეაყვარეს მისი წარსული და აწმყო, ქართული კულტურის ისეთი უსაზღვრო ერთგულება ჩაუნერგეს, რომ წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერს ინგლისში დაბრუნებისთანავე დაუწერია შესანიშნავი წიგნი – „საქართველოს სამეფო", ეგზოტიკური ქვესათაურით – „მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში",, რომელიც ლონდონში 1888 წელს დაიბეჭდა.

ოლივერ უორდროპის ეს წიგნი შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას, ქართული ენისა და მწერლობის მიმოხილვას, იმდროინდელი ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა-დახასიათებას.

თავისი უფროსი ძმის უორდროპის ეს წიგნი გახდა გზის მაჩვენებელი მარჯორი სკოტ უორდროპისათვის, რომელმაც ინგლისურენოვან სამყაროს ახალი თვალით დაანახვა ჩვენი სამშობლო, ახალი ფერებით დახატა საქართველოს, ქართული კულტურისა და მისი შემქმნელი ხალხის ათასწლოვანი ისტორია.

შემდეგში იგი უკვე 1894 წელს ლონდონში გამოცემული „ქართული ხალხური ზღაპრების" ინგლისური თარგმნის წინასიტყვაობაში წერდა: „ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა რამდენიმე წლის წინათ პირველად მიიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და აღმიძრა გულში ინტერესი საქართველოსი და იმის მხნე და მშვენიერი ერისა".მან მიზნად დაისახა, რომ ესწავლა და საკუთარი ხელით გამოეყვანა უცნობი ლამაზი ქართული ასოები, ენა გაეტეხა და ესაუბრა მისთვის უცნობი ხალხის ენაზე, საკუთარი თვალით ენახა ზღაპრული მხარე – საქართველო და აქ მცხოვრები სტუმარ-მოყვარე და გულღია ქართველი ხალხი, საკუთარი ყურით მოესმინა ცოცხალი ქართული მეტყველება. გაუჩნდა დიდი სურვილი, რომ მის მშობელ ინგლისელ ხალხს უფრო მეტი სცოდნოდა საქართველოზე, მის ისტორიასა და მწერლობაზე, საერთოდ ქართულ კულტურაზე.

1894 წლის 16 იანვრის ნომერში ილია ჭავჭავაძის „ივერია" წერს: „...საქართველოს ცნობილი მცოდნის ოლივერ უორდროპის და ქ-ნი ვარდროპი თავის ძმასავით შეუდგა ქართული ენის შესწავლას, რათა ინგლისის საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, რომელსაც დასავლეთი ევროპა, მეტადრე ინგლისი, კარგად ვერ იცნობს. ეს ქალი ისე გულმოდგინედ ჰშრომობს და შედარებით მცირე ხნის განმავლობაში იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომელსაც ევროპელები ადვილად ვერ სწავლობენ, რომ უკვე გადათარგმნა ინგლისურ ენაზედ „ქართული სახალხო არაკები" ვლ. აღნიაშვილისა.

ინგლისური პრესა მოწონებით შეხვდა ახალგაზრდა ქალის პირველ ნაშრომს. „ივერიის" ლონდონელი კორესპონდენტი ვარლამ ჩერქეზიშვილი ვაზიანია ფსევდონიმით სწერს: „ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა დიდის თანაგრძნობით დაუხვდა ინგლისურს ენაზედ ნათარგმნ ქართულ საერო ზღაპრებს, გამოცემულს მისს ვარდროპის მიერ. მიხარიან, რომ ამგვარად წაახალისეს და მოუწონეს შრომა ახალგაზრდა მეცნიერს ქალს, მისს ვარდროპს. დიდად აქებენ, ამბობენ, რომ იგი ჩვენს ბევრს იმედს განახორციელებსო, იგი კიდევ გვაღირსებს თავის ნაშრომს, თავის ნამოქმედარსო".

მარჯორი უორდროპს დიდი ინტერესი აღძრია ჩვენი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" მიმართ და სწერს: „წარსული ორი წლის განმავლობაში მრავალი დრო მოვანდომე ქართულ კლასიკურ ლიტერატურას, და განსაკუთრებით, მეთორმეტე საუკუნის ეპიკური პოეტი შოთა რუსთაველის შესწავლას და იმედი მაქვს მალე გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ეს სიამოვნება, რომელიც მე ამ წიგნმა მაგრძნობინა.

ქართველი საზოგადოება მარჯორის პირადი წერილებიდან იგებს „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისა და დახვეწის სრულყოფის ამბებს, გრძნობს თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება იგი რუსთაველის უკვდავი პოემის ტექსტის ინგლისურ ენაზე გადაღებას. აი ეს წერილებიც:

**ანასტასია თუმანიშვილისადმი:**

„ვეფხისტყაოსანი" კიდევ დასაწყისიდან გადავთარგმნე, ამისთვის რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ეხლა ნახევარი ვაკეთე, სურვილი მაქვს გაზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოდ კვახი თარგმანი იქნება და დიდი ხანი შრომა და მოთმინება უნდა წინეთ რომ დაიბეჭდოს. მე არ მინდა, რომ გლახათვჰქმენ, და სურვილი მაქვს, რომ მშვენიერება რუსთაველისა არ დაიკარგოს, ასეთი ცოტა რომ შემიძლიან თარგმანში".

**ოლღა გურამიშვილისადმი:**

„რამდენიმე თვეა, რომ გავათავე პირველი ჩემი თარგმანი რუსთაველისა. ჯერ ძალიან ცუდად არის ინგლისურ ენაზე, მაგრამ სურვილი მაქვს წრეულს მეორეჯერ შევადარო დედანთან. მინდა ძალიან კარგი იყოს".



მარჯორის მჭიდრო ურთიერთობა აქვს პროფ. ალ. ხახანაშვილთან, რომელიც მას აწვდის თავის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს. იგი გახარებული მადლობის ბარათს უგზავნის ქართველ მეცნიერს: „პატივცემულო პროფესორო ხახანაშვილო! მე მივიღე თქვენ მიერ დაწერილი ბარათი და წერილიც შოთა რუსთაველზე. ამისთვის დიდ მადლობას გიძღვნით. უღრმესი სიამოვნებით წავიკითხე წერილი, რომელიც არის ჩემთვის ძალიან საყურადღებო".

შემდეგი წერილით კი ატყობინებს: „შავად დავამთავრე „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი. სურვილი მაქვს მესამედ შევადარო ჩემი თარგმანი რუსთაველს დედნით, და შეიძლება ბევრი შეცდომა შევასწორო".

1912 წელს გამოქვეყნდა ლონდონში „ვეფხისტყაოსნის" მარჯორისეული ინგლისური თარგმანი მისი ძმის ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობით, რომელშიც იგი წერს:"ინგლისურად მთარგმნელი ამ პოემისა ეცადა მკითხველისათვის გაეცნო ავტორის იდეა და მისი ენა ამ იდეის გამოსათქმელად ნახმარი, ეცადა იმავე სისწორით, რა სისწორითაც ქართველს მკითხველს შეუძლია თვით დედანში გაიგოს როგორც ერთი, ისე მეორე. ამის თარგმანს შეუდგა 1891 წელს და დასრულა 1898 წელს. მრავალჯერ შეასწორა და შეავსო ეს თარგმანი და მუშაობა არ შეუწყვეტია 1909 წლის ქრისტეშობის თვემდე. ამდენი შრომა გასწია გარნა კმაყოფილი მაინც არ იყო. თარგმანი უნაკლულო მაინც არ ეჩვენებოდა.

„ვეფხისტყაოსნის" მარჯორი უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანს გამოეხმაურა იმჟამინდელი ქართული პრესა. „სახალხო გაზეთის" 1912 წლის 24 აპრილის ნომერში ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) წერდა: „თარგმანი ისე უახლოვდება ორიგინალს, ისეთნაირად არის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაღებული ინგლისურად, რომ იგი შეუდარებელია. აგრეთვე მკითხველის აღტაცებას იწვევს კეთილშობილება, სიკეკლუცე და უმაღლესი პოეტური სიმშვენიერე თარგმნისა ინგლისურად. დიად ქმნილების გადაცემა უცხო ენაზედ მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლიან, რომელსაც თვითონ აქვს მაღალი და უწმინდესი სული, ვისაც გონება გაბრწყინებული და სინათლით აღსავსე აქვს, ხოლო გული მოყვარული და ნაზი. ქართული ლიტერატურისა და თვით უკვდავი რუსთაველის საბედნიეროდ ყველა ეს თვისება მისს მარჯორი ვარდროპის არსებაში ჰარმონიულად იყო შეთავსებული. მას ყოველმხრივი უმაღლესი განათლება ჰქონდა. მან ინგლისურსა და ფრანგულს გარდა იტალიური, გერმანული, რუსული და რუმინული ენები იცოდა. მან ზედმიწევნით იცოდა მწერლობაც ამ ენათა. უდიდესნი წარმომადგენელნი მსოფლიო ლიტერატურისა ახლონი და ძვირფასნი იყვნენ მისთვის, მაგრამ მთელის თავისის მოყვარულისა და წმინდა გულით იგი რუსთაველის ქმნილებას დუახლოვდა, იგი შეიყვარა; შემდეგ მთელს ჩვენს ლიტერატურაზედ, ჩვენს ისტორიაზედ, ჩვენს ერზედაც გადმოიტანა ეს წმინდა სიყვარული".

იმავე „სახალხო გაზეთში" 1912 წლის ივნისში გამოქვეყნდა თედო სახოკიას „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურად და მარჯორი უორდროპის „ასული", რომელშიც იგი წერს: „ჩვენი მწერლობის სადღესასწაულო ამბის შესახებ გვინდა მკითხველს გამოვეხმაუროთ და მასთან ერთად გავიაზროთ საერთო სიხარული მთელის ჩვენის ერისა. ქართველთა გენიოსის და მთელი მსოფლიოს წინაშე თავმოსაოწონებელი ადამიანის გონების ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურად გამოვიდა და ევროპელ მკითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ჩვენის ერის უკვდავი შვილის თხზულება, გაიცნოს თვით ამ გენიოსის სამშობლო, მისი დიდებული წარსული. ასეთი სიკეთე ქართულს მწერლობას ქართველთათვის მოჭირნახულემ, აწ განსვენებულმა უორდროპის ასულმა დასდო. უორდროპის ასული ეკუთვნის იმ მცირე რიცხვს ევროპელთა, რომელთაც შეისწავლეს ჩვენი ენა, ლიტერატურა და ისტორია, იმ განსხვავებით, რომ განსვენებულმა არამც თუ შეისწავლა ენა, ლიტერატურა, ისტორია ქართველთა, არამედ ყოველსავე ამასთან ერთად უანგარო სიყვარულით შეიყვარა ჩვენი ყველასგან დავიწყებული ხალხი და ქვეყანა".

ქართველი საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა მარჯორისეულ ინგლისურ თარგმანს, ოლღა ჭავჭავაძე 1911 წელს ოლივერს სწერდა: „ ... ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოველი ჩემს სულმნათ მარჯორის თარგმანს. როგორც რუსთაველია დიდებული და დაუვიწყარი, ისე ჩემი სათნოებით სავსე მარჯორია, სასოებით ავიღებ ხელში იმის ნათარგმნს, როდესაც გიბოძებთ".

მარჯორი უორდროპი თავის ძმა ოლივერთან ერთად შეუდგა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლის „წმინდა ნინოს ცხოვრების" თარგმნას, რომელიც 1896 წელს ზაფხულში დაასრულეს. ამის თაობაზე ცნობას გვაწვდის ჟურნალი კვალი. 1896 წლის 16 ივნისის ნომერში: „მას სხვადასხვა წყაროებიდან შეუდგენია „წმინდა ნინოს ცხოვრება ინგლისურ ენაზე და მზად აქვს დასასტამბათ" თარგმანზე მუშაობის დროს უორდროპებს მიმოწერა ჰქონდათ ოლღა ჭავჭავაძესთან, ტასო მაჩაბელთან, ანეტა ჭყონიასთან, უსარგებლიათ სხვა ნაშრომებთან ერთად ე. თაყაიშვილის, ალ.ხახანაშვილის შრომებით და წერილიც გამოუგზავნიათ ალ. ხახანაშვილისათვის: „ჩვენ გადავთარგმნეთ ინგლისურ ენაზედ „ცხოვრება წმინდა ნინოსი" და აწ შევადარეთ სხვადასხვა ვარიანტებთან. თქვენმა წერილმა „ვოსტოკ დრევნოსტში" დიდად მოგვეხმარა"... „ ... წმინდა ნინოს ცხოვრება" უკვე დიდი ხანია რაც გამომცემელთა ხელშია ოქსფორდის უნივერსიტეტის სტამბაში და ვიმედოვნებ, რომ მალე გამოვა. სიამოვნებით გამოგიგზავნით მას, თუკი თქვენ ინებებთ. ეს ნაშრომი 1900 წელს გამოიცა ოქსფორდში, რომელსაც პროფ. ალ. ხახანაშვილმა საგანგებო რეცენზია მიუძღვნა 1900 წლის 24 დეკემბრის ნომერში: „.... ამ ახალს თავიანთ თხზულებაში პატივცემულნი და-ძმანი დაგვენახვნენ სრულიად ახალს მოღვაწეობის ფარგლებში. მათ შეისწავლეს რამდენიმე საინტერესო წყარო წმინდა ნინოს შესახებ და მეცნიერულის კრიტიკის თვალით დააფასეს იგი... ქ-ნი უორდროპი და ბ-ნი უორდროპი მადლობის ღირსნი არიან არამც თუ თავიანთი შრომის გამოქვეყნებისათვის, რომელნიც მათ მიუღიათ, რათა ჩვენს ისტორიას სხვა მუშაკი შეუძინონ და საერთო ინტერესი აღძრან".




მარჯორი უორდროპი დიდად აფასებდა ილიას პოეზიის მშვენიერებას, განსაკუთრებულად მოსწონდა სიმართლითა და ღრმა პოეზიით ადამიანის მხიბლავი პოემა „განდეგილი". დაიწყო კიდეც მუშაობა მის თარგმანზე.

1894 წლის 18 სექტემბრის „ივერიაში" ვარლამ ჩერქეზიშვილი წერდა: „ძალიან მესიამოვნებოდა, რომ „განდეგილი" დაიბეჭდოს ინგლისურს ენაზედ. ჩვეულებრივი მკითხველი, ჩვენთა დღეთა განათლებული ბრბო უფრო გაიგებს, უფრო გულმისახვდომად მიიჩნევს ამ განდეგილს, ამ გულმართალს და დაყუდებულს ადამიანს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევს ადამიანის აგებულების ძირეულ მოთხოვნილებათ, ყოვლის დამძლევსა და ყოვლის განმაცხოველებელს სიყვარულს... კაცობრიობის პოეზიის ძირეული შინაარსი სიყვარულია და ადამიანი დიდად აფასებს ამ სიყვარულის უფლებათა დაცვას და იმის ძლიერების შემკობასა და ქება-დიდებას. „განდეგილში" კი ისე ცხოვლად არის შემკობილი ეს გრძნობა, როგორც ცხოველმყოფელია წმინდა ჰაერი მყინვარწვერისა, ისევე ლამაზად არის აწერილი, როგორც ლამაზია და მშვენიერი თვით მყინვარის ყინულად ქმნილნი წვიმა-თოვლნი მაისის მზით გაბრწყინებულნი".

1894 წლის სექტემბერში ინგლისიდან იგი თავისი ჯერ კიდევ გაუმართავი, მაგრამ მშვენიერი ქართულით, ილიას სთხოვს ნებართვას ინგლისურად თარგმნილი „განდეგილის" გამოქვეყნებისას:

**თავადი ილია ჭავჭავაძე**

ტფილისი

მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა", რომელსა უკეთესისა ლექსისა თქვენი მშვენიერი ენაში რომ ვკითხვე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს. მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამითვის გჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა რაოდენიმე წელიწადი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მე მაგასთან მალე საქართველოში, ქვეყანა, რომელვენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნობ, და სურვილი მაქვს, რომ მერე მე შევჰძლებ პირ და პირ გამოთქმა. უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისთვის და დიდებულის მსახურებისათვის მოცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსთვის.

მე ვარ, ბატონო, ჩემთვის სასიხარულო ნებისა.

თქვენი პატივისმცემელი მარჯორი უორდროპი".

მარჯორის ეს წერილი მაშინვე გამოქვეყნდა „ივერიაში" დავით მიქელაძის (მეველე) მიერ:"ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებლად, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელი ქალისა, რომელსაც ქართული წერა-კითხვა შეუსწავლია ძველი წიგნების საშუალებით თავის კაბინეტში, დაგვემალა და არ გაგვეზიარებინა საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმის წაკითხვის გამო ვიგრძენით.

ქალბატონი უორდროპი კარგა ხანია ვიცოდით, რომ მოყვარული იყო ჩვენის ქვეყნისა, მაგრამ ეს საპატიო ქალი ახლა თავის პირით აღიარებს ამ ძვირფასს ჩვენთვის გრძნობას, რომელსაც უეჭველია ყველა კარგი ქართველი ჩინებულად დააფასებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ლიანა ავაზაშვილი**



# მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!



## დაამარცხეთ მუცლის ტკივილი, გულძმარვა და კუჭის წვენის გაზრდილი მჟავიანობა

თუ გაწუხებთ კატარალური გასტროენტერიტი მაღალი მჟავიანობით, მუცლის ტკივილსა და გულძმარვას ვერ იშორებთ, ერთ ხალხურ საშუალებას გირჩევთ.

ყოველ დილით კარტოფილის ბოლქვი გახეხეთ, მიღებული მასიდან წვენი გაწურეთ და უზმოზე 100 მლ დალიეთ და 1 ჭიქა სახლის მჟავე რძე დააყოლეთ. პროცედურა ზედიზედ 9 დღე გაიმეორეთ.

შვებას უკვე მეხუთე დღეს იგრძნობთ. მუცლის ტკივილი და მჟავიანობა აღარ შეგაწუხებთ. მათ, ვისაც დიარეისკენ მიდრეკილება აქვს, კარტოფილის წვენი ნალექებთან ერთად უნდა მიიღონ, შეკრულობის დროს – მის გარეშე.

### ხალხური საშუალებები წყლულების სამკურნალოდ და პროფილაქტიკის მიზნით

1. ერთ მუჭა შოთხვის ქერქს 1 ლ წყალი დაასხით და ზომიერ ცეცხლზე 10-15 წუთით ადუღეთ. ამის შემდეგ 8-10 სთ დააყენეთ. ყოველ დილით, უზმოზე 1 ჭიქა ნაყენი მიიღეთ. 1-2 კვირაში მდგომარეობის გაუმჯობესებას იგრძნობთ და ტკივილი გაქრება. წყლული რომ სამუდამოდ დაივიწყოთ, ასეთი მკურნალობა დაახლოებით 1 წელი გააგრძელეთ. ამასთან, კვების რეჟიმის დაცვა და საკვების სწორად მომზადება არ დაგავიწყდეთ.

2. 5ს/კ დაქუცმაცებული წიწვი, 2 ს/კ დაქუცმაცებული ხახვის ფურცლები და 2 ს/კ დაქუცმაცებული ვარდის ფურცლები ქვაბში მოათავსეთ, 1 ლ წყალი დაასხით და 5 წუთით ადუღეთ. ნაყენი შეფუთეთ და მთელი ღამე გააჩერეთ. შემდეგ გადაწურეთ და დღის განმავლობაში წყლის ნაცვლად დალიეთ. მკურნალობის კურსი დაახლოებით 3-4 კვირა გრძელდება.

3. ერთ ჭიქა კრაზანას ბალახს 2 ჭიქა მზესუმზირის ზეთი დასხით და წყლის ორთქლზე 6 საათით ადუღეთ. შემდეგ გადაწურეთ და ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 1 ს/კ მიიღეთ. უკვე 2 კვირის შემდეგ თავს უკეთ იგრძნობთ: ტკივილი, გულძმარვა, თავბრუსხვევა და სისუსტე გაქრება.

4. ეს ნარევი გაზრდილი მჟავიანობის დროს დაგეხმარებათ. 1 ნაწილი სელის თესლი, ძირტკბილას ფესვები, კოთხუჯის ფესვები და პიტნის ფოთლები ერთმანეთს აურიეთ. 1 ს/კ ნარევს 1 ჭიქა ცივი წყალი დაასხით და 2-3 საათით დააყენეთ. ნაყენი რამდენიმე წუთით აადუღეთ და სრულ გაგრილებამდე დააყენეთ. დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე ან ჭამის შემდეგ 40-60 წუთის შემდეგ მიიღეთ.

5. წყლულის პროფილაქტიკა გაზაფხულზე (მარტი – აპრილი) და შემოდგომაზე (ოქტომბერი – ნოემბერი): 2-3 კვირის განმავლობაში მიიღეთ კალენდულას ყვავილების ნაყენი – 20-25 მშრალ ყვავილს 0, 5 ლ ცივი წყალი დაასხით, დაბალ ცეცხლზე 5-6 წუთით ადუღეთ და 2-3 საათით დააყენეთ. შემდეგ ნაყენი გადაწურეთ. დღის განმავლობაში, ჭამამდე მიიღეთ. თუ ნაყენი არ გყოფნით, ერთი და იგივე კალენდულას ყვავილი შეგიძლიათ ორჯერ აადუღოთ.

intermedia.ge

## როგორ ავიმაღლოთ ჰემოგლობინი?



ჰემოგლობინის დაბალი დონე შეიძლება გამოწვეული იყოს არასწორი კვებით, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვით ან გარკვეული პრეპარატებით მკურნალობის შედეგად. მისი დონის ასაწევად საჭიროა გარკვეული დრო და თქვენი ხელშეწყობა, რათა ეს პროცესი სწრაფად და სტაბილურად წარიმართოს.

1. მიიღეთ რკინის შემცველი პროდუქტები: კვერცხის ცილა, ბარდა, ლობიო, შავი პური, თევზი, ხორცი, ატამი, ვაშლი, ოხრახუში, ქინძი. ასევე მიირთვით C ვიტამინის შემცველი ხილი, ის ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ პროდუქტებიდან მიღებული რკინის ათვისებას. არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში მინიმუმ 3 ლიტრი სითხის დალევა!

2. მოხარშეთ 1 ჩ/კ ასკილის დაფხვნილი ნაყოფი, 1 ჭიქა წყალში, დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი და ლიმონის წვენი. მიღებული ნაზავი დალიეთ დილით, უზმოზე. უფროსებისათვის აუცილებელია მთლიანი ჭიქის დალევა, ბავშვებისათვის კი 100 მლ. მკურნალობის კურსი უნდა გაგრძელდეს დაახლოებით 30-60 დღე.

3. გამოწურეთ წვენი ახალი სტაფილოსგან, ვაშლისა და ჭარხლისგან, უნდა მიიღოთ დაახლოებით 500 მლ მოცულობის სითხე. დალიეთ იგი ერთი მიღებით, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, დალევამდე მიირთვით 1 ს/კ არაჟანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი ვერ მოახერხებს კაროტინის სწორად ათვისებას. იმ შემთხვევაში თუ ბავშვი ვერ მოახერხებს სითხის ერთიანად დალევას, შეგიძლიათ მისცეთ მისი გარკვეული ინტერვალების შემდეგ დალევის უფლება.

4. ორი კვირის განმავლობაში, ვახშმიდან რამდენიმე საათის შემდეგ მიიღეთ100 გრ ბროწეულის მარცვალი, 100 გრ ვაშლი და 100 გრ გრეიფრუტი. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ თქვენს „ხილის ასორტს" დაუმატოთ ცოტაოდენი ნაღები და ყურძენი.

გაიკეთეთ სისხლის ანალიზი ჰემოგლობინზე. თუ მისი დონე მაინც არ გაიზრდება, გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან ჰემოგლობინის დონის გასაუმჯობესებელ პრეპარატებთან დაკავშირებით. მათი შეძენა შესაძლებელია ნებისმიერ მაღაზიაში, მაგრამ მათი მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე დაკავშირებულია გაკრვეულ რისკებთან.

intermedia.ge

## კიბოს სამკურნალო მცენარე, რომელიც ფარმაცევტების მიერ იბლოკება !



ხილი, რომელიც კურნავს კიბოს და მისი ზემოქმედება 10 ათასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ქიმიოთერაპიის !

„მათ არ უნდა, რომ ჩვენ ამის შესახებ ვიცოდეთ, რადგან სამედიცინო პრეპარატების მსხვილი მწარმოებლები ვერ გაყიდიან თავიანთ პროდუქციას", – სტატიას ამ თემაზე აქვეყნებს ინტერნეტ ჟურნალი „MEMO".

გუანაბანა ითვლება ყველაზე ძლიერ ანტიკანცეროგენად პლანეტაზე, რომელიც შექმნა ღმერთმა. გრავიოლას ხის ნაყოფი ეს არის სასწაული, რომელიც ანადგურებს კიბოს უჯრედებს.

თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ახლობელ ადამიანებს და მოუყვეთ, რომ აუცილებელია გუანაბანას წვენის დალევა, რათა თავი ავარიდოთ დაავადებას. ის სასიამოვნო დასალევია და არ აქვს გვერდითი მოვლენები, ისეთი, როგორიც აქვს ქიმიოთერაპიას.

კიბოს ყველაზე აქტიურად სუპერხილი – გუანაბანა ებრძვის. გუანაბანა არის დაბალი სიმაღლის ხე და იკავებს ნაკლებ ადგილს. ის ცნობილია ბრაზილიაში გრავიოლას სახელით, ლათინურ ამერიკაში გუანაბანა და სოურსოპ ინგლისურ ენაზე. მას აქვს მსხვილი და ტკბილი ნაყოფი, საკვებად მიიღება ნედლი სახით და გამოიყენება წვენების დასამზადებლად. მის ნაჭერსა და წვენს ჩაის არომატიზირებისთვის იყენებენ.

გუანაბანას თერაპიული მიზნებისთვის უძველესი დროიდან იყენებდნენ. ამ მცენარის მიმართ ინტერესი გამოწვეულია მისი კიბოს საწინააღმდეგო თვისებებით. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ეს ტროპიკული ხილი ორგანიზმს აძლიერებს და ეფექტურად ებრძვის ონკოლოგიურ დაავადებებს. გარდა ამისა, მას აქვს უამრავი სხვა თვისებაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სიმსივნეზე ზემოქმედება.როგორც ამბობენ, მას გაცილებით უფრო მეტი ეფექტის მოტანა შეუძლია, ვიდრე ქიმიოთერაპიულ პრეპარატს, ადრიომიცინს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ გუანაბანას მომაკვდინებელი ძალა ორგანიზმის ჯანმრთელ ქსოვილებს არ აზიანებს. ეს ნიშნავს, რომ მას-გუანაბანას მიღებას არანაირი გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს. გუანაბანა სხვადასხვა სახეობის კიბოს ავთვისებიან უჯრედებს, მათ შორის, მსხვილი ნაწლავის, სარძევე ჯირკვლების, პროსტატას, ფილტვების დაკუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს უჯრედებს ანადგურებს. გუანაბანა ტკბილი სახეობის ხილია და მისი ნაყოფი შეიძლება 12 კილოგრამამდეც კი გაიზარდოს. ხილის რბილობი კრემისებრ მასას წარმოადგენს. მას უცნაური მოტკბო-მომჟავო არომატი აქვს.

ეს მცენარე შემოწმებულია და ამტკიცებენ, რომ სასარგებლოა ყველა ტიპისა და ფორმის კიბოს წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

აგრეთვე ითვლება, რომ მცენარე არის ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი. ფლობს სოკოს საწინააღმდეგო და ანტიპარაზიტულ თვისებებს, არეგულირებს არტერიულ წნევას და არის ანტიდეპრესანტი.

1970 წელს იყო ჩატარებული 20-ზე მეტი ლაბორატორიული ტესტი, რომლის დროსაც დადგინდა, რომ ექსტრაქტი ანადგურებს ავთვისებებიანი სიმსივნის 12 ტიპს – მსხვილი ნაწლავის, ძუძუს ჯირკვლების, პროსტატის, ფილტვის და პანკრიასის.

მცენარე კიბოს უჯრედების ზრდას 10 ათასჯერ უფრო მეტად ამცირებს, ვიდრე ადრიამიცინი (ცნობილი ქიმიოთერაპიული პრეპარატი). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გრავიორას ექსტრაქტით თერაპიის შემთხვევაში ნადგურდება მხოლოდ კიბოს უჯრედები და ის არ აყენებს ზიანს ჯანმრთელ უჯრედებს.

**ეკატერინე ციცქიშვილი**
intermedia.ge

## ლიმონის გაყინვით შეგეძლებათ დაემშვიდობოთ კიბოს, დიაბეტსა და სიმსუქნეს

ვიტამინებითა (A, B, P, C) და ანტიოქსიდანტებით სავსე ლიმონი, მთელი წლის განმავლობაშია ხელმისაწვდომი. C ვიტამინის მნიშვნელოვან პროცენტულ რაოდენობასთან ერთად, იგი შეიცავს მაგნიუმს, კალიუმს, კალციუმს... ამბობენ, რომ ლიმონი ქიმიოთერაპიაზე ძლიერია, რაც არც თუ უსაფუძვლოა. დღეს, თითქმის ყველგან მიირთმევენ წყალს ლიმონითა და თაფლით, უმ ლიმონს შაქრით, ლიმონის წვენს და ა.შ.

მაგრამ ეს ციტრუსი ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

აღმოჩნდა, რომ „ცოცხალ" ლიმონზე უფრო მეტად სარგებლიანი, გაყინული ლიმონი ყოფილა. გაყინული ლიმონის მოხმარებისას ორგანიზმი 5-ჯერ და 10-ჯერ მეტ ვიტამინს იღებს. შეგახსენებთ, რომ ლიმონის კანი უფრო მეტ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, ვიდრე რბილობი.

და მაინც, რატომ არის გაყინული ლიმონი სასარგებლო ორგანიზმისთვის?

1) როდესაც თირკმელში ორგანული ან არაორგანული ნივთიერებების (ფოსფატური, ურატული, ცისტინური, ქსანიტური...) გროვებისაგან (ასევე ცხიმოვანი საკვების მიუღებლობის გამო) კენჭები წარმოიქმნება, სწორედ გაყინული ლიმონი იწყებს მის დაშლას.

2) განსაკუთრებული თვისებების წყალობით, იგი ანადგურებს მავნე ბაქტრიებსა და ვირუსებს, მაშინ როცა ამას ზოგჯერ მედიკამენტებიც ვერ უმკლავდებიან.

3) წმენდს სიხსლსა და ასტიმულირებს შლაკებისა და ტოსქსინების გამოყოფას ორგანიზმიდან. ამიტომაც შესაძლებელია გულის უამრავი დაავადების პრევენცია.

4) გამოდევნის მიკრობებსა და პარაზიტებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, რითიც აუმჯობესებს მის ფუნქციონირებას, ეხმარება საჭმლის მომნელებელ სისტემას საკვების გადამუშავებასა და ნივთიერებების შეთვისებაში.

5) ასკორბინის მჟავის, იგივე C ვიტამინის მაღალი შემცვლელობის გამო ანელებს ეპითელური და კანის ქსოვილების კვდომისა და სიბერის პროცესს.

ცნობილია, რომ ერთი ცალი საშუალო ლიმონის წვენი ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო C ვიტამინის დღიური ნორმის 33%-ს შეიცავს, ხოლო ერთი სუფრის კოვზი ლიმონის კანი – 13%-ს

6) როგორც ვთქვით, ქიმიოთერაპიას უტოლდება სიძლიერით, შესაბამისად ანადგურებს კიბოს უჯრედებს და ონკოლოგიურ დაავადებებს.

7) ლიმონი გამოიყენება მწვავე რევმატიზმის, კუჭის კატარების, ცინგის (სურავანდი), სიყვითლის, წყალმანკის, თირკმელების დაავადების, ფილტვის ტუბერკულიოზის, ჰემოროის, პოდაგრის, წელკავისა და ძვლებში ტეხის შეგრძნების დროს. ლიმონი ფართოდ გამოიყენება ათეროსკლეროზის დროს, როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება.

თავდაპირველად, ლიმონი (უმჯობესია იყოს ახალი) კარგად უნდა გარეცხოთ. ამის შემდგომ, მოათავსეთ იგი საყინულეში 3-4 საათით რაიმე ნაჭერში შეფუთული/გახვეული (არა პოლიეთილენი). გამოღების შემდეგ გახეხეთ ან დააბლენდერეთ.

## როდის უნდა დავლიოთ წყალი?!

წყლის სწორად დალევის რეჟიმი წონის დაკარგვას უწყობს ხელს. ამის შესახებ ყველაზე უკეთ სპორტსმენებმა იციან.

წყალი ორგანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც თითქმის ყველა პროცესში იღებს მონაწილეობას. მათ შორისაა მეტაბოლიზმის პროცესი. ექსპერტები ადამიანებს შეგნებულად ურჩევენ, დღის განმავლობაში მინიმუმ 2 ლიტრი წყლის დალევას. წყლის ეს რაოდენობა ადამიანს ტენიანობას უნარჩუნებს, გამოიყოფა ოფლი და ორგანიზმის გაწმენდას უწყობს ხელს. პროდუქტების აქტიური გადამუშავება ხელს უწყობს წონის შენარჩუნებას, გახდომას, ცელულიტის დაშლას და ბევრ დაავადებას გვაცილებს თავიდან.

1 . წყალი უნდა მიიღოთ დილიდან. ძილის დროს ადამიანი ოფლიანობს, სუნთქავს. აქედან გამომდინარე, ის კარგავს წყლის მარაგს. მას კი დილიდანვე შევსება სჭირდება. ნუ დაგავიწყდებათ დილით 1-2 ჭიქის დალევა.

2 . ჭამის დროს წყლის დალევა არ ღირს. უმჯობესია, თბილი წყალი ჭამამდე 20 წუთით ადრე მიიღოთ. ასე საყლაპავი საკვების მიღებისთვის მომზადდება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი გააქტიურდება და საერთოდაც, უფრო ნაკლებს შეჭამთ. საჭმელიც მარტივად გადამუშავდება და ნაკლებ კალორიასაც მიიღებთ.

3 . ნუ დალევთ წყალს ჭამის დასრულებისთანავე. ამან შეიძლება თქვენი კუჭი გადატვირთოს. სასურველია, საკვების მიღებას შორის დროის თანაბარი, საშუალო ინტერვალი აიღოთ.

4 . აუცილებლად მიიღეთ წყალი საკვების მიღებებს შორის! ჭამიდან 30-40 წუთის შემდეგ შეგიძლიათ დალიოთ ჩაი ან ყავა. შემდეგ კი აუცილებლად დალიეთ წყალი. შეეცადეთ, ის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს, რომ სურვილის გაჩენისთანავე შეგეძლოთ მისით დაკმაყოფილება. ასე დეჰიდრატაციას გამორიცხავთ.

5 . ადამიანებს ხშირად უნდებათ „რაღაც, და ამ მოთხოვნილებას „სასუსნავით" იკმაყოფილებენ. არა და, უმეტესად, ეს „რაღაც" წყალია, რომელსაც ორგანიზმი გამუდმებით საჭიროებს. ასეთ დროს დალიეთ წყალი და 10 წუთი დაელოდეთ. შესაძლებელია, ეს შეგრძნება საერთოდ გაქრეს.

6 . ნუ დალევთ წყალს გვიან ღამით. სასმელი წყალი არა უგვიანეს 6-7 საათამდე მიიღეთ. რა თქმა უნდა, ის აკრძალული არაა, თუმცა, ეს ღამით აუცილებლად დაგიფრთხობთ ძილს და დილით შეიძლება თვალის უპეები შეგისივდეთ.

7 . ნუ დალევთ წყალს ერთიანად ფიზიკური აქტივობის შემდეგ. თუ წყლის დალევა გსურთ, მიიღეთ ის თან და თან, მცირე ულუფებით. ასე თავიდან აიცილებთ დაღლილობას, დეჰიდრატაციას, გულ-სისხლძარღვთა პრობლემებს.

8. წყალი ორგანიზმს ზამთარშიც ისევე სჭირდება, როგორც ზაფხულში. ასე რომ, ნურასდროს დატოვებთ ამ საკითხს უყურადღებოდ. წყლის მარაგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თქვენი კანის, თმის და შინაგანი ორგანოებისთვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ჯანმრთელობა და სილამაზე უმეტესწილად წყალზეა დამოკიდებული. ასეთი მარტივი ჩვევების გამომუშავებით კი საკუთარ თავს ძალიან დაეხმარებით.



# „მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს“ მარინე წიწრიაშვილის ხსოვნას

არცერთ დროსა და ეპოქაში არ ყოფილა ადვილი აღმზრდელის ხვედრი, დღეს მითუმეტეს. ჰოდა შემთხვევითი სულაც არ გახლავთ ის ფაქტი, სიყვარულით აღსავსე წერილი რომ უძღვნეს ღირსეულ პედაგოგს – მარინე წიწრიაშვილს მადლიერმა მშობლებმა (წერილი რედაქციაში საკუთარი სურვილით მოიტანეს):

თითოეული პიროვნება, თუ საზოგადო მოღვაწე ფასდებოდა იმ ეპოქისა და პირობების მიხედვით რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა. არავისთვის არ არის უცნობი დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მასწავლებელთა ყოფა. და მაინც უშრეტი ენერგიით სავსე ადამიანები ღირსეულად ასრულებენ დაკისრებულ მისიას. ამგვარ ამაგდართა რიცხვს ეკუთვნის 106–ე საშუალო სკოლის მასწავლებელი – მარინე წიწრიაშვილი, რომელმაც დედაენის მეშვეობით გააღვივა და შეადუღაბა აღსაზრდელებში უზენაესი გრძნობები: ენა, მამული, სარწმუნოება, როგორც ერის სულიერი სიჯანსაღის ქვაკუთხედი.

ახლა როცა წაშლილია ზღვარი ცოდნასა და უცოდინრობას შორის, ახლა, როცა დღიურ სარჩოს დასტრიალებს ჩვენი გონება, ძნელია ჯაჭვის შეკვრა წიგნიერ სამყაროსთან, ძნელია მოსწავლეებს ელაპარაკო ამაღლებულ გრძნობებზე. ამ გადასახედიდან სწორედ რომ გმირობის ტოლფასია მარინე მასწავლებლის ღვაწლი, ღვაწლი, რომელიც დიდხანს, დიდხანს გაჰყვება ჩვენს შვილებს სულიერ საზრდოდ.

მოკრძალებული სიტყვებით მოგმართავთ დედასავით ტკბილო, საყვარელო მასწავლებელო, მე–9 კლასის მშობლებს მადლიერების გრძნობა არასოდეს გაგვინელდება, რამეთუ ამაგი თქვენი განუზომელი და შეუფასებელია. ვინ იცის რამდენ თაობას ჩაუვლია, ყოველი მათგანისათვის რამდენი სითბო, სიყვარული, სასოება და სიფაქიზე გაგიყოლებიათ. მოსწავლეთა მკაცრნარევი, თავდავიწყებული სიყვარული, საკვირველი უანგარობა, დიდი კეთილშობილური და მორალური სიწმინდე ამკობს თქვენს ხასიათს. რამდენგზის გვინატრია თქვენი შეუვალი ნებისყოფა, საშური სიკეთე, რასაც თანაბრად უნაწილებდით მოსწავლეებს და არასოდეს დაგშრეტიათ. ერთხელ იბადება და კვდება ადამიანი, ერთხელ იღებს ის მშობლიური ლიტერატურის სიყვარულს, რომელიც მთელი ცხოვრება თან სდევს კაცს! ამ სიყვარულის მოციქულად თქვენ ჰყავდით ჩვენს შვილებს წლების მანძილზე. გვსურს მადლიერების სიტყვებით შეგამკოთ, დაუსრულებლად ვილაპარაკოთ იმ თავდავიწყებულ სიყვარულზე, რომელიც ჩვენ გვაჩუქეთ. ვილოცებთ თქვენთვის, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი მარად და მარად!!!

**დიდი სიყვარულით**
**მე-9 კლასის მშობლებისაგან**

# მშვიდობით, ჩემო მასწავლებელო!



ურთიერთობა, რომელიც ცალკე მდგომია, რომელსაც ვერაფერს აკლებს დრო... მანძილი... გუშინ ჩვენი ცხოვრების მასწავლებელი მივაბარეთ მიწას... ჩვენი მარინე მასწავლებელი... მახსოვს, როდესაც მასწავლებლობა დავიწყე, ჩემდაუნებურად წარმოვადგენდი მარინე მასწავლებელს... 26 წელი გავიდა სკოლის დამთავრებიდან... ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეებში მისი ზარი იყო ახალი ძალისა და იმედის მომცემი... ის არასოდეს მასამართლებდა... ის არ იყო მოსამართლე... ის იყო ჩემი დამრიგებელი... ის არ ითხოვდა სიტყვებს, ახსნას... დუმილს უსმენდა... მისთვის არ იყო მხოლოდ თეთრი და შავი, ფერადი იყო მისი სამყარო... ჩუმად წყინდა, როდესაც ვერ ვიყავით ყურადღებიანები მის მიმართ... საყვედურს არასოდეს გეტყოდა... სულ მეგონა, მოვასწრებდი მეთქვა მისთვის ის, რისი თქმაც მთელი ცხოვრება მინდოდა... მახსოვს, როდესაც პირველად ვცადე, ვერ შევძელი და არც დამაძალა... მაშინ გადავწყვიტე, რომ მე მას აუცილებლად გავანდობდი იმას, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის... ის იმსახურებდა ამას, მაგრამ ... ვერ მოვასწარი... არ მეშინია... ვიცი ამასაც გამიგებს... ბევრი რამ ვნახე ამ ქვეყნად... პირველად ვნახე შვილისგან ასე ლამაზად დატირებული მშობელი... ბევრი, ძალიან ბევრი ცრემლი ჩავაყოლე ჩემი ცხოვრების მასწავლებელს... უთქმელი სათქმელით გაჯერებული ცრემლი... ჩემი წილი და მისიც წილიც, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა... თავისი სიკვდილით ბოლო გაკვეთილი ჩაგვიტარა... თანაც როგორ! ზურგზე დაგვცა და გადაგვტეხა, ისე შეგვყარა და ჩაგვახუტა ერთმანეთს... ჰოდა ასე... . მშვიდობით, ჩემო ცხოვრების მასწავლებელო! მომავალ შეხვედრამდე!

**მაკა ჭიაბერაშვილი**

# ვინც ქალბატონ მარინეს იცნობდა...

ქველსა და კეთილ საქმეს ჭარბი ქება აფერმკრთალებს. ვინც ქალბატონ მარინეს იცნობდა, კარგად უწყის, რომ ის არც ქების მოსამკობად ირჯებოდა და არც სხვა რამ გამოსარჩენი ადარდებდა. ბავშვის ზნეკეთილ, სრულფასოვან, ქართული სულით გაჟღენთილ პიროვნებად ჩამოყალიბება იყო მისი საფიქრალი მუდამ. ადამიანური სახის ქონა ხომ ყველაზე დიდი სათნოებაა. ამას შეალია ამაგდარმა მასწავლებელმა თავისი ნიჭი, კოლოსალური ცოდნა და ენერგია... მაგრამ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, ლამაზო მასწავლებელო... ჩრდილში მდგომის ბედნიერება მუდამ სხვაზე მზიანიაო...

ჰოდა ნათელში გამყოფოთ უფალმა და გვჯერა, თქვენ შეუერთდით საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა დიად ზეციურ ერთობას და იქიდან ილოცებთ თქვენი სათაყვანო მამულის გაბრწყინებისთვის!!!

# რა შეიძლება იყოს თავის ტკივილის მიზეზი



არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ განუცდია თავის ტკივილი. ეს უკანასკნელი აქვეითებს ადამიანის შრომისუნარიანობას, უარყოფითად აისახება ცხოვრების ხარისხზე. ადამიანი, რომელსაც თავის ტკივილი აწუხებს, ერთი შეხედვით ჯანმრთელად გამოიყურება, თუმცა, მისი შეგრძნება შესაძლოა მეტად მძიმე იყოს.

თავის ტკივილს ხშირად უკავშირდება ყურადღების დეფიციტი, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, მეხსიერების და მოტივაციის შესუსტება; თავის ტკივილის დროს ადამიანი ზოგჯერ სრულად შრომისუუნაროა, ვერაფერს აკეთებს ან აკეთებს შენელებულად, ტანჯვით, დროის დიდ მონაკვეთში.

თავის ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს:

• თავის ტვინის სისხლძარღვთა ტონუსის რეგულაციის დარღვევა – (თავის ტვინის არტერიების სპაზმი, უფრო ხშირად ვეგეტატურ გავლენათა შედეგად – შაკიკი და სხვა სისხლძარღვოვანი ტკივილი);

• ლიქვოროდინამიკის დარღვევა – (შეგუბებითი ხასიათის თავის ტკივილი, ქალასშიდა წნევის მომატება);

• კისრის კუნთების გადაძაბვა, კისრის მალების ართროზი ან ცდომა, ხერხემლის კისრის ნაწილის სპონდილოართროზი ან ოსტეოქონდროზი;

• ნევრალგიური დარღვევები – (გარკვეული ნერვული წნულების გაღიზიანებადობის დროს, მაგალითად, სამწვერა ან სმენის ნერვის აგზნება და სხვა);

• ზოგიერთი პრეპარატის ხანგრძლივად ან უკონტროლოდ მიღება – (მაგალითად, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების).

mkurnali.ge





# მანანა ლაფაჩიშვილის ხსოვნას

9 მარტს 65 წელი შეგისრულდებოდა... კიდევ ერთი ცხრა მარტი მოვიდა უშენოდ, ჩვენი ცხოვრებიდან სიზმარივით გამქრალო პატარა ფერიავ, ამ ქვეყნად არსებობის მხოლოდ 22 წელი რომ გაიმეტა შენთვის განგებამ.

ყველაფრის მსახვრალი დროის სრბოლა ვერა და ვერ ანელებს იმ ტკივილს, რომელსაც ამდენი ხანია დავატარებთ და ასეც გაგრძელდება უსასრულოდ, ვიდრე პირში სული გვიდგას. დღესაც თვალწინ გვიდგას შენი სათნო ღიმილით გაცისკროვნებული თვალები, შენზე ზრუნვით დაღლილი დედა და შენზე ფიქრით დამაშვრალი მამა, ვის ბედისწერადაც გაქცია არსთა გამრიგემ, შენდა უნებურად...

არადა, თანდაყოლილი გულის მანკი, რისგან განკურნებაც დღეს პრობლემა აღარ არის, მაშინ, შენდა საუბედუროდ, უკურნებელი სენი იყო.

აუხდენელი ოცნებები, ჩაფერფლილი იმედები, განუხორციელებელი მიზნები – ასე შეიძლება შევაფასოთ შენი ხანმოკლე სიცოცხლისა და ცხოვრების გზა.

როგორც რელიქვიას, დღემდე სათუთად ვინახავ გაზეთ „ყვარლის“ 1972 წლის 10 თებერვლის ნომერს, რომლის ლიტერატურულ კუთხეში რამდენიმე შენი ლექსი და ნააზრევია გამოქვეყნებული. 1971 წლის აპრილში დაწერილი შენი სულის შემძვრელი წერილი – „დროებით, მხოლოდ დროებით სკოლავ!“ მომავალზე ფიქრითა და იმედებითაა აღსავსე. ბედნიერს, ათასფრად გასხივოსნებულს, შინაარსიანს, გზაფართოს და უეკლოს – ასე ხედავდი შენს მომავალს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. მომავალი პროფესიაც არჩეული გქონდა და ოცნებობდი, რომ მასწავლებლის როლში დაუბრუნდებოდი შენს აღმზრდელ და საყვარელ სკოლას.

„დიახ, მე ვიქნები მასწავლებელი!... ორიოდე თვეში სკოლის კედლებს დავტოვებ, მაგრამ დავტოვებ იმისათვის, რათა ოთხი-ხუთი წლის შემდეგ კვლავ დავუბრუნდე მათ, როგორც პედაგოგი! ...ნახვამდის, ჩემო მშობლიურო სკოლავ, დაგიბრუნდები, აუცილებლად დაგიბრუნდები, ძვირფასო!“

საუბედუროდ, არ შეისმინა განგების ძალამ შენი გულიდან ამოსული ეს გულწრფელი და ალალი სურვილები, ჩვენო თვალხატულა ანგელოზო. იმ შენი ოცნებებით აღსავსე წერილის დაწერიდან ხუთი წლის შემდეგ, 1976 წლის მაისში, მშობლიურ სკოლაში დაბრუნების ნაცვლად, უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ!

ასე უდროოდ ჩაიფერფლა შენი სიცოცხლე და მასთან ერთად შენი განუხორციელებელი ოცნებებიც!

43 წელი გვაშორებს იმ ავადმოსაგონარ დღეებს, როცა სამუდამოდ გეთხოვებოდით. ოთხი ათეული წელი ერთობ დიდი დროა და ჩვენც უკვე სოლიდურ ასაკში ვართ. შენ კი ისევ ჩვენი პატარა მანანა ხარ, 22 წლის მარად ახალგაზრდა ფერიად შემორჩი ჩვენს ხსოვნას, მაისის პეპელასავით მონარნარე და წმინდა, ვითარცა ანგელოზი!..

და კვლავაც თვალწინ მიდგას შენი ფერმკრთალი გამოხედვა და ყურებში შორეული ექოს მსავსად ჩამესმის მავედრებელი მუდარა, როცა შენს ოთახში შემოსული, გასამხნევებლად მხიარულ ამბებს გიყვებოდი ხოლმე: – კარგი ალიმან, ნუ მაცინებ, ხომ იცი, რომ გულისცემა მიჩქარდება და არ შეიძლება“... ჰოდა, სწორედ ამ გულმა გიმტყუნა ბოლოს, ასე უეცრად და უდროოდ შეწყდა შენი სათნო და სათუთი გულის ძგერა, რომელიც ზღვა სიყვარულს და აუხდენელი ოცნებების ოკეანეს იტევდა. ასე განსაჯა ბედის უკუღმართობამ და ალბათ ეს იყო შენი ბედისწერა...

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი უკვე შორეულ წარსულში ჩარჩა, ამ უკიდეგანო და შეუცნობადი სამყაროს ლაბირინთებში... აფსუს, რა დრო გასულა წუთისოფლის უსასრულო სრბოლაში – დრო, სუნთქვასავით გარდასული!

სამოცდამეხუთე დაბადების დღე მოვიდა უშენოდ, აწ უკვე მარადისობაში გარდასულო გაუხარელო დაიკო, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო!

ნათელი ეფინოს შენს უმანკო სულს, გვჯერა, რომ უფლის შეწევნით, ანგელოზთა სამყაროში ხარ დავანებული!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**

# ხალხური მედიცინა: ბროწეულის „ქერქის“ ჩაი, რომელიც უამრავ დაავადებას კურნავს

ბროწეული იმაზე მეტად სასარგებლოა, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ბროწეული მდიდარია ისეთი ვიტამინებით, როგორიცაა A, C, E, B1, B2, PP. ასევე, აუცილებელი ელემენტებით: რკინით, იოდით, კალციუმით, კალიუმითა და სილიციუმით. მისი წვენი ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი სისტემის გამართულ მუშაობას. მას უძველესი დროიდან იყენებენ სამკურნალო დანიშნულებით და, როგორც ცნობილია, ჰიპოკრატე მას კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ იყენებდა.

როგორ მოვამზადოთ ბროწეულის ქერქის ჩაი?

სხვადასხვა ანთებითი პროცესის დროს, ბროწეულის ქერქის ნახარში ყველაზე ეფექტური საშუალებაა: „2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ბროწეულის ქერქს უნდა დაუმატოთ 1 ჭიქა ცხელი წყალი და წყლის ორთქლზე 30 წუთი ადუღოთ. გადაწურეთ და დაუმატეთ ადუღებული წყალი იმდენი, რომ საწყისი მოცულობა მიიღოთ. მიიღეთ 50 გრამი 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე“

ჩაი: 12-15 გრამ ბროწეულის მშრალ კანს უნდა დაასხათ 250 გრამი ადუღებული წყალი. ვაჩერებთ 25 წუთი და შემდეგ ვსვამთ ერთ ჭიქას, 2-3 საათის შემდეგ მეორე ჭიქას

**ბროწეულის „ქერქის“ ჩაის სასარგებლო თვისებები:**

1) ამაღლებს იმუნიტეტს.
2) კურნავს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს.
3) გიცავთ გულის დაავადებებისაგან.
4) გიხსნით გაცივებისა და გრიპისგან.
5) თავიდან აგაცილებთ ავთვისებიან დაავადებებს.
6) გიხსნით ოსტეოპოროზისაგან.
7) მართავს გლუკოზის დონეს.
8) არის ძლიერი ანტიოქსიდანტი.
9) ხელს უშლის ანემიის განვითარებას და რკინის დონის კლებას.
10) აჯანსაღებს კბილებს და ღრძილებს.



# ვარდისფერი ჭოპორტულა საუკეთესო გემოს, უხვმოსავლიანი პამიდორი

„ვარდისფერ ჭოპორტულაზე“ სელექციური მუშაობა 1993 წელს დაიწყო. ბუნებრივი ჰიბრიდიზაციით, გამორჩევით მაღალი ტემპერატურისა და მშრალი კლიმატის პირობებში ვარდისფერი და წითელი პამიდვრის ნათესიდან გამოირჩა ჯიში „ვარდისფერი ჭოპორტულა“ ალექსანდრე სარალიძის საკარმიდამო ნაკვეთში.

ელიტური მასალა გამოვლინდა 1996 წელს. საკონკურსო ჯიშთა გამოცდა 2005-2006 წელს ჩატარდა.

აღნიშნული ჯიში ძალიან მცირედ ავადდება ფიტოფტორით (0.4%), გამძლეობას იჩენს ვირუსული დაავადებების, ნაცრის, ჭკნობის, ბაქტერიული ლაქიანობის მიმართ.

„ვარდისფერ ჭოპორტულას“ ნაყოფები გამორჩეულია განსაკუთრებული გემური თვისებებით. მისი სტანდარტული ნაყოფები გამოიყენება უმად მოსახმარად, სასალათედ, არასტანდარტული კი – გადასამუშავებლად (საწებლები, კონსერვები).

ჯიშს ძლიერ დატოტვილი დიდი მოცულობის ფესვთა სისტემა აქვს, რომელიც ძალიან სწრაფად იზრდება და ვითარდება.

ღია გრუნტში პირდაპირ თესვისას (ჩითილის გარეშე) ფესვთა სისტემა ნიადაგის სიღრმეში 60 სმ-მდე ჩადის, ხოლო ფესვის ხშირი განტოტვა 35-45 სმ-ის დიამეტრის ფარგლებშია, პამიდორის ჩითილით წარმოებისას, ფესვთა სისტემა ძირითადად ვითარდება ნიადაგის სახნავ ფენაში – 30 სმ-ზე.

„ვარდისფერი ჭოპორტულას“ღერო მომრგვალოა, სწორმდგომი, სიმაღლეში 2-2,5 მ-ს აღწევს. პამიდვრის ნაყოფი წვნიანია, ოთხბუდიანი, ნაყოფები გამოირჩევა მრგვალი ფორმით და ვარდისფერი შეფერილობით.

ხელსაყრელი ტემპერატურისა და სათანადო ტენის პირობებში პამიდვრის თესლი 3-4 დღეში ღივდება, საწყის ეტაპზე გამოჩნდება ღივი და ფესვი, შემდეგ ვითარდება ლებან-ფოთლები, რომლებიც აღმოცენებისთანავე იშლება. პირველი ფოთოლი აღმოცენებიდან 6-10 დღეში ვითარდება, ფოთლების ფორმირების პარალელურად მიმდინარეობს ღეროს და ფესვების ზრდა-განვითარება.

„ვარდისფერ ჭოპორტულას“ ჩითილი 7-9 ფოთლის ფაზაში ირგვება, საორიენტაციოდ აღმოცენებიდან 40-45 დღის შემდეგ უვითარდებათ საყვავილე ბუტონები. ბუტონიზაციის ფაზა დაახლოებით 12-16 დღე გრძელდება და სწორედ ამ პერიოდს არ უნდა გადასცილდეს ჩითილის გატანა და დარგვა ღია გრუნტში.

ამის შემდეგ იწყება ყვავილობა, კერძოდ ყვავილდება პირველი რიგის მტევანზე არსებული წვრილი ყვავილების ჯგუფი. ყოველი 5-7 დღის შემდეგ იშლება მომდევნო რიგის ყვავილები. დაახლოებით 1,5-2 კვირის შემდეგ ამავე წესით იშლება მეორე რიგის და მომდევნო მტევნების ყვავილები და ა.შ.

თითქმის ყოველ კვირას ჩნდება ახალი მტევანი და პარალელურად ამისა მიმდინარეობს ყვავილობა, განაყოფიერება, ნაყოფების გამოჩენა, ზრდა და ფორმირება. ჯიშისათვის დამახასიათებელი ზომის მიღწევის შემდეგ ნაყოფი იწყებს დამწიფებას.

მოუმწიფებელი, მაგრამ ფორმირება-ზრდა დამთავრებული პამიდორის ნაყოფები იძენენ ღია მწვანე შეფერილობას, შემდგომ პერიოდში ნელ-ნელა პამიდვრის ნაყოფები იძენენ ჯიშისათვის დამახასიათებელ ვარდისფერს. ამ დროს ნაყოფში სათესლე ბუდეები წვნიანდება, რომლებშიც განლაგებულია თესლები, ხდება ნაყოფის დარბილება.

„ვარდისფერ ჭოპორტულას“ აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე სავეგეტაციოდ 120 დღე სჭირდება. ყვავილობიდან ნაყოფის მომწიფებამდე – 45-65 დღე.

ახალგაზრდა მცენარე ფოთლების იღლიებიდან გვერდით ყლორტებს ე.წ. ნამხრევებს ივითარებს. ჩვეულებრივად წვერო 7-14 ფოთლის შემდეგ მთავრდება საყვავილე მტევნით, ხოლო ნამხარი გამოზრდილი წვეროს ფოთლის იღლიიდან ცდილობს გაიზარდოს მთავარი ღეროს პარალელურად. ნამხარი 2-6 ფოთლის ფორმირების შემდეგ აჩერებს ზრდას და ივითარებს საყვავილე ბუტონებს, ხოლო მცენარის ზრდა გრძელდება უახლოესი ნამხრევების პარალელურად. პროცესი გრძელდება ვეგეტაციის ბოლომდე, სანამ წაყინვები არ დაიწყება.

„ვარდისფერი ჭოპორტულას“ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობა უნდა იყოს ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 70-80 %, ხოლო ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 60 %-ის ფარგლებში. უფრო მეტი ტენიანობის პირობებში, მცენარე კარგავს გამძლეობის უნარს მავნებელ-დაავადებების მიმართ, ყვავილობისას ძნელდება განაყოფიერების პროცესი, ყვავილები ცვივა, რაც საბოლოოდ მოსავლიანობის შემცირებას განაპირობებს.

### ნიადაგის განოყიერება

განოყიერებისათვის სასუქი ისე უნდა შევიტანოთ, რომ აზოტის კალიუმთან შეფარდება იყოს 1 : 2, ეს ნიშნავს,რომ თუ აზოტი შეგვაქვს 2 კგ, კალიუმი უნდა შევიტანოთ 4 კგ. (იგულისხმება წმინდა ელემენტი ანუ მოქმედი ნივთიერება), ამით მცირდება ნიტრატების შემცველობა და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტების მიღება გარანტირებულია. ცალმხრივი განოყიერებისას კვების ეფექტი დაბალია, ამიტომ სათანადო დოზებით სამივე სახის სასუქის შეტანა აუცილებელია მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღებისათვის.

ნიადაგის ნაყოფიერებიდან გამომდინარე პამიდორის მოსაყვან ნაკვეთში უნდა შევიდეს საქონლის გადამწვარი ნაკელი ჰექტარზე 40-60 ტონა, ხოლო ნახევრად გადამწვარი – უფრო მეტი. თუ გადამწვარი ნაკელი ცოტა გვაქვს, ის უნდა შევიტანოთ ბუდნებში – მცენარეთა ძირებში 0,5 –1,0 კგ. ოდენობით.

სარწყავ და ჭარბტენიან ადგილებში ორგანული, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქი უნდა შევიტანოთ შემოდგომაზე, მზრალად ხვნის ან გაზაფხულზე კულტივაციის წინ. თუ ზემოთ აღნიშნული ორგანული სასუქი შემოდგომაზე იქნა შეტანილი, მაშინ მინერალური სასუქების დოზები უნდა განახევრდეს.

მხოლოდ მინერალური სასუქებით განოყიერებისას ერთ ჰა-ზე უნდა შევიტანოთ სულფატამონიუმი 4-5 ცენტნერი, ან ამონიუმის გვარჯილა 2,5-3,0 ცენტნერი, სუპერფოსფატი 5-7 და კალიუმის მარილი 1,5-2,0 ცენტნერი, შეტანის წესი ხელით ან მანქანით, მწკრივად ან მობნევით.

### ნიადაგის დამუშავება

პამიდორის ნაკვეთის დამუშავებას ვიწყებთ წინამორბედი კულტურების ანარჩენების გაწმენდით. შეგვაქვს ორგანულ-მინერალური სასუქები და ვხნავთ (წინმხვნელიანი) გუთნით 26-28 სმ სიღრმეზე. გაზაფხულზე მზრალის შეშრობისთანავე ნიადაგის ტენის შენარჩუნების მიზნით საჭიროა დაფარცხვა და ასე რჩება ჩითილების დარგვამდე. დარგვის წინ შეგვაქვს აზოტიანი სასუქი 150-200 კგ/ჰა და ვატარებთ კულტივაცია-დაფარცხვას, შემდეგ დაიჭრება ბაზო-კვლები 60-70 სმ-ზე და გაკეთდება სარწყავი კვლები.

### პამიდვრის თესვა და ჩითილების გამოყვანა

პამიდორის ჩითილის გამოყვანა ხდება კვალსათბურებში, პოლიეთილენის კვალსათბურში, ან ღია კვლებში. თესვა უნდა ჩატარდეს გადარგვამდე 50-65 დღით ადრე, საიდანაც კარგად განვითარებული ჩითილები მუდმივ ადგილზე დასარგავად გადაგვაქვს.

საჩითილე კვლებისათვის უნდა შეირჩეს მყუდრო, ქარისაგან დაცული, სამხრეთისაკენ ოდნავ დაქანებული, ვაკე ადგილი. ნიადაგი უნდა იყოს მშრალი და წყალგამტარი, ხოლო ნაკვეთი უზრუნველყოფილი სარწყავი წყლით.

კვალსათბური შედგება: რკალის, ფირის, სამაჭგრისა და პალოსაგან.

მოვლის სამუშაოები: რწყვა ყოველ მე 2-3 დღეს, გამარგვლა-გაფხვიერება-გამოხშირვა 2-3 ჯერ, წამლობები მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგოდ 2-3 ჯერ, განოყიერება – გამოკვება სარწყავით (10 ლ წყალში ჩაიყრება ერთი ასანთის კოლოფი აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქი. კარგად მორევის შემდეგ ხსნარი მიესხურება 1-1.5 კვმზე და შემდეგ აუცილებლად ჩაირეცხება სუფთა წყლით).

ჩითილის ამოღების წინ 2-3 დღით ადრე სასურველია დამუშავდეს სისტემური ფუნგიციდითა და ინსექტიციდით, ერთი დღით ადრე კი აუცილებლად უნდა მოირწყას, რათა ფესვთა სისტემა რაც შეიძლება დაუზიანებელი შერჩეს.

მცენარეების აღმოცენების შემდეგ მზიან ამინდში უნდა მოხდეს ფირების გადახდა, ხოლო საღამოსთვის ის ისევ უნდა დაეფაროს. 1 კვ. მ-ზე მიიღება პამიდორის 300-400 ცალი ჩითილი.

### დარგვა და სავეგეტაციო სამუშაოები

„ვარდისფერი ჭოპორტულას“ დარგვა სასურველია 70 სმ X 60-70 სმ-ზე. კვების არით. ჩითილი ირგვება ჩითილის სარგავი მანქანით, ხელით, პალოს გამოყენებით ან ბარით.

დარგვიდან 4-6 დღის შემდეგ საჭიროა ჩატარდეს გაცდენილი ადგილების გამორგვა და განმეორებით მორწყვა.

ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა ნიადაგი იყოს ფხვიერი და სარეველებისგან სუფთა მდგომარეობაში, რისთვისაც საჭიროა მწკრივთაშორის დამმუშავებული ფრეზ-კულტივატორების გამოყენება ან თოხით, თუ ხელის კულტივატორით მწკრივების 2-3 ჯერ დამუშავება, რწყვები მოთხოვნილების მიხედვით 6-8 ჯერ, სისტემური ბრძოლა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ.

პამიდორი უნდა აიკრას საყრდენებზე 2-3 ადგილას, სხვადასხვა დროს.

### გამოკვება

ვეგეტაციის პერიოდში სასურველია პამიდორის გამოკვება ორგანული სასუქებით. წყალში დადუღებული 1 წილი ფრინველის ნაკელი უნდა გაზავდეს 10-15 წილ წყალში. თუ ფრინველის ნაკელი არა გვაქვს, მაშინ შეგვაქვს 4-5 წყალში გახსნილი საქონლის ჟიჟა ან 8-10 წილ წყალში გაზავებული საქონლის ახალი ნაკელი, რაც უნდა მოესხუროს 8-10 მ. სიგრძეზე მცენარეებს ძირებში. ყოველ ვედრო ხსნარს უნდა დაემატოს 50 გრ. სუპერფოსფატი, 20-25 გრ. კალიუმი და ასე შერეული კომბინირებული ნაზავი უნდა მოესხუროს ნიადაგზე. ეს ღონისძიება ტარდება 1-2 ჯერ, პირველი ნაყოფის ფორმირების დასაწყისში, მეორედ – ორი კვირის შემდეგ.

### გასხვლა

გასხვლისას „ვარდისფერ ჭოპორტულას“ ფორმირება სასურველია ძირიდან 2 ღეროზე (ამონაყარი). დანარჩენი ამონაყრები – ნამხრევები მთლიანად უნდა შეეცალოს, რათა ბუჩქი გამოთხელდეს, ამასთან ვეგეტაციის პერიოდში შეიძლება მისი გაფურჩქვნაც.

თესლის დამზადების წინ ნაყოფები უნდა გაირეცხოს, რათა რბილობი სუფთა დარჩეს ტომატის გასაკეთებლად, შემდეგ დიამეტრალურად გაიჭრას შუაზე და ხელის მოჭერით თესლის ბუდიდან გამოცალკევდეს ხის კასრში ან მინის ჭურჭელში, რომელსაც 2-3 დღეს ვტოვებთ დასადუღებლად, ე.წ „დადუღებულ“ თესლს წყლის დასხმით გამოვრეცხავთ და გადავწურავთ 3-4 ჯერ, კონდიციური თესლი დაილექება ჭურჭლის ძირზე. კარგად გარეცხილი თესლი უნდა გაიშალოს ტილოზე ან ფიცარზე და დაიდოს გასაშრობად ჩრდილში. თუ თესლი დაიკოშტა ის ხელით უნდა დავფშვნათ.

„ვარდისფერ ჭოპორტულას“ თესლის გამოსავალი შეადგენს 0.3-0.5 %, ე.ი 300-500 გრ თესლის მისაღებად საჭიროა 100კგ პამიდორი. თესლის აბსოლუტური წონა 2.5-6 გრამია.

„ვარდისფერ ჭოპორტულას“ კრეფა სასურველია ჩატარდეს ყოველ მე – 6 დღეს, დაკრეფილი პამიდორი უნდა დახარისხდეს შესაბამის ტარაში ჩაწყობით და გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

# რამდენიმე მცენარისთვის მისაღები PH

ფერმერეული მეურნეობის ეფექტურობას, უხვ მოსავალს და შესაბამისად კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებას მრავალი გარემოება განსაზღვრავს. ერთ-ერთი მათგანი ნიადაგის არეს აქტიური რეაქციის (PH) შესახებ ინფორმაციის ფლობაა.

ნიადაგის არეს აქტიური რეაქცია pH იზომება 1-დან 14-მდე და წარმოადგენს მჟავიანობისა და ტუტიანობის ინდიკატორს.

ამ მხრივ ნიადაგის დახარისხება შემდეგნაირია: ძლიერ მჟავე (pH = 3-4); მჟავე (pH = 4-5); სუსტად მჟავე (pH = 5-6); ნეიტრალური (pH = 7); სუსტი ტუტე (pH = 7-8); ტუტე (pH = 9); ძლიერ ტუტე (pH = 9-11).

ზოგადად საქართველოს დასავლეთ ნაწილის (განსაკუთრებით ზღვისპირა ზოლი), სადაც ხშირია ატმოსფერული ნალექები, ნიადაგები ხასიათდება მჟავე რეაქციით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები – ტუტე რეაქციით.

ქვევით გთავაზობთ რამდენიმე მცენარისთვის მისაღებ ნიადაგის არეს აქტიური რეაქციის მაჩვენებელს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ინფორმაცია გარკვეულწილად კორექტირებადია ჯიშებიდან გამომდინარე, ამიტომ გირჩევთ ნერგის შეძენისას, სხვა მონაცემებთან ერთად ამ მაჩვენებელზეც მიიღოთ ინფორმაცია.

### რამდენიმე მცენარისთვის მისაღები pH

მსხალი pH = 6,5-7,5;
ვაშლი pH = 5,5-6,5;
ალუბალი pH = 6,5-7,5;
ქლიავი pH = 6,5-7,5;
ბადრიჯანი pH = 6,0-6,5;
პომიდორი pH = 5,5-6,5;
ცხარე წიწაკა pH = 5,5-7,0;
სუფრის ჭარხალი pH = 6,0-7,2;
სტაფილო pH = 5,5-6,5;
ხახვი pH = 6,0-6,5;
ნიორი pH = 6,5-7,0;
კიტრი pH = 6,4-7,0;
ბოლოკი pH = 5,8-6,5;
კომბოსტო pH = 6,7-7,4;
ბროკოლი pH = 6,5-7,5;
ყვავილოვანი კომბოსტო pH = 6,5-7,0;
მუხუდო pH = 6,5-7,0;
სალათი pH = 6,0-6,5;
ჟოლო pH = 5,5-7,0.

ხშირად არის, რომ გარკვეული კულტურის მოყვანა გინდათ, თქვენი ნაკვეთის ნიადაგის მჟავიანობა კი არ არის ამ კულტურისთვის შესაფერისი. ამ დროს საჭირო ხდება ნიადაგის მჟავიანობის შემცირება ან მომატება.

ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი შეიძლება, გაიზარდოს კირის დამატებით ან შემცირდეს ელემენტარული გოგირდის დამატებით. ეს დანამატები ნიადაგში უნდა შევიდეს მცენარის დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე.

ნიადაგის pH-ის შესაცვლელად კირის ან გოგირდის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წვრილად არის ისინი დაფქული (მარცვლის ზომა) და ნიადაგის ბუფერულობით.

მარცვლების დიდი რაოდენობა (60 – 100) მიანიშნებს წვრილად დაფქულ კირსა ან გოგირდზე, რომელიც უფრო სწრაფად შევა რეაქციაში ნიადაგის pH-ის შესაცვლელად.

ტუტოვან ნიადაგში (პ>7) წვრილმარცვლოვანი გოგირდი უნდა შეერიოს ნიადაგის ზედა 15 სმ. ფენაში დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე, pH-ის მაჩვენებლის ოპტიმალურ ზღვრამდე შესამცირებლად.

ნიადაგის ცვლილება დარგვამდე ბევრად უფრო იოლია, ვიდრე დარგვის შემდეგ ნიადაგის pH-ის დონის მოდიფიკაცია.

ნიადაგის ზედაპირზე მარცვლოვანი გოგირდის დამატებით შემცირდება მხოლოდ ზედა რამდენიმე სმ-ის pH-ის დონე. თუმცა, დროთა განმავლობაში, თანდათანობით შემცირდება pH-ის დონე ნიადაგის ღრმა ფენებშიც.

ელემენტარული გოგირდის გარდა, მიწის მჟავიანობის გასაზრდელად შეიძლება რკინის სულფატის გამოყენებაც.

ეს მასალა ელემენტარულ გოგირდთან შედარებით უფრო სწრაფად შედის რეაქციაში, როგორც წესი, დამატებიდან 3-4 კვირაში. pH-ის 0.5 ერთეულით შესამცირებლად საჭიროა 36 კგ – ის დამატება 100 კვადრატულ მეტრზე.

არ შეიძლება 100 კვადრატულ მეტრზე 40 კგ-ზე მეტი რკინის სულფატის დამატება.

ფოსფორმჟავის წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით დამატება, ასევე, ხელს უწყობს ნიადაგის pH-ის დონის თანდათანობით შემცირებას. ელემენტარული გოგირდის შეტანასთან შედარებით, ნიადაგის მჟავიანობის გაზრდის ეს მეთოდი უფრო სწრაფი და ერთგვაროვანია.

ფოსფორმჟავა, ასევე, ამარაგებს ნიადაგს ფოსფორით (). დასამატებელი დოზა და ფოსფორმჟავას დამატების სიხშირე დამოკიდებულია წყლის წყაროზე, წყლის ნაკადზე, მორწყვის დროსა და ინჟექტორის სახეობაზე.



ამას გარდა, სხვადასხვა ნიადაგს ფოსფორმჟავას განსხვავებული საჭიროება აქვს, pH-ის დონის, ბიკარბონატის და კარბონატის შემცველობის მიხედვით.

მჟავიან ნიადაგში, სადაც pH-ის დონე 6.0-ზე ნაკლებია და მცენარის ოპტიმალური ზრდისთვის აუცილებელია ფესვთა სისტემაში ნიადაგის pH-ის 6.5-მდე გაზრდა.

ეს სრულდება წვრილად დაფქული კირქვის ($CaCO_3$), დოლომიტიანი კირქვის [CaMg $(CO_3)$ 2] ან ჰიდრატირებული კირის (CaOH2) დამატებით დარგვამდე, სულ ცოტა, რამდენიმე თვით ადრე, რათა მოესწროს ნიადაგის pH-ის დონის შეცვლა.

დასამატებელი კირქვის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის pH-ზე და ორგანული ნივთიერებების პროცენტულ შემცველობაზე.

კირი კარგად უნდა გაერიოს ნიადაგში როტოციული კულტივატორით, საუკეთესოა, სულ მცირე, 15 სმ სიღრმეზე.

**დ. პიჩა,**
**აგროკავკასია**



# არქივი გუშინ, დღეს და მომავალში

*უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ 1988 წლამდე ყვარლის არქივს არასოდეს ჰქონია მუდმივი თავშესაფარი, ხან სად იყო შეკედლებული და ხან სად. და აი, სამართალი აღსრულდა და წარმატებით დამთავრდა არქივის მაშინდელი დირექტორის აწ განსვენებული ქალბატონი მაყვალა სამიტაშვილის დაუღალავი მცდელობა არქივისათვის ტიპიური შენობის აშენების შესახებ. ასე გაჩნდა ჩვენი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე პატარა, მყუდრო და ლამაზი შენობა. მაგრამ 90 – იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში განვითარებული უარყოფითი მოვლენები არქივსაც შეეხო და დაიწყო მისი უკუსვლაც.*

*რა მოხდა, როდის და რატომ შეიცვალა ყვარლის ტერიტორიული არქივის სტატუსი ამის შესახებ რამოდენიმე კითხვით მივმართეთ საქართველოს ეროვნული არქივის ყვარლის ადგილობრივ წარმომადგენელს ბატონ სოსო ხარებაშვილს.*

**– ბატონო სოსო, ბევრ ჩვენს მოქალაქეს გონია, რომ, რაკი შენობა ისევ ისე გამოიყურება არქივიც ჩვეულებრივ მუშაობს. სინამდვილეში რამ განაპირობა არქივის სხვა რაიონში გადატანა?**

– ჩვენმა პატივცემულმა მკითხველმა სრულყოფილი პასუხი რომ მიიღოს ცოტა შორიდან მოვყვები თხრობას. ყვარლის ყოფილ რაიონულ ( შემდგომ – ტერიტორიულ ) არქივში დოკუმენტები გასული საუკუნის 30 – იანი წლებიდან იყო დაცული. როგორც შესავალში თავადაც აღნიშნეთ საკუთარი შენობა არქივს არასოდეს ქონია, რამოდენიმეჯერ მოხდა ადგილსამყოფელის შეცვლა და ამ გაუთავებელ გადატან – გადმოტანაში დოკუმენტების დაკარგვის ფაქტებიც ხდებოდა. დაარსებიდან 1965 წლამდე ყველა დოკუმენტი ადგილზე, ყვარელში ინახებოდა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ხერხდებოდა მათი დაცვა. და რაკი ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მათი დაცვა და მოვლა – შენახვა უფრო საიმედო თელავის არქივის შენობაში იქნებოდა შესაძლებელი ამ დოკუმენტების ერთი ნაწილი – მუდმივად შესანახი საქმეები სწორედ იქ გადაიტანეს. შემდეგ, 80 – იანი წლების ბოლოს, როდესაც ყვარელში ქალბატონი მაყვალა სამიტაშვილის თითქმის თავგანწირული მოღვაწეობის შედეგად შესაფერისი შენობა აშენდა, დოკუმენტები კანონიერ პატრონს დაუბრუნდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ყვარლის არქივის ზრდა და გაფართოება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღებული რეგიონალიზაციის კურსი მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეეხო საარქივო დაწესებულებებსაც. ტერიტორიული პრინციპით მოხდა ადგილობრივი არქივების გამსხვილება. თელავში აშენდა რეგიონული არქივის ახალი, თანამედროვე კეთილმოწყობილი შენობა, რომელშიც განთავსდა კახეთის რვავე რაიონის საარქივო დოკუმენტები. თანამშრომლებს აქვთ ნაყოფიერი მუშაობის საუკეთესო პირობები. ამავე პერიოდში გაუქმდა ყვარლის ტერიტორიული არქივიც. ამაში ცუდი ის იყო, რომ რამოდენიმე თანამშრომელი უმუშევარი დარჩა, სხვა მხრივ ეს უდავოდ პროგრესული ნაბიჯი იყო. ყოფილი არქივის ფუნქციათა შესასრულებლად შეიქმნა ეროვნული არქივის ყვარლის ადგილობრივი წარმომადგენლობა, რომელიც ამჟამად იუსტიციის სახლის ყვარლის ფილიალში ფუნქციონირებს.

**– თუ შეიძლება ჩვენს მოქალაქეებს განვუმარტოთ, როგორ ხდება მათთვის საჭირო საარქივო საბუთის მოძიება?**

– სიამოვნებით, ეს ჩემი ერთ – ერთი სამსახურეობრივი მოვალეობაა. მოგეხსენებათ, არქივი დღეს თუ ხვალ ყველა მოქალაქეს დასჭირდება და რეორგანიზაციას მათთვის საჭირო დოკუმენტის მოძიებაში ხელი არ შეუშლია, პირიქით, უზრუნველყოფილია მომსახურების მაღალი კულტურა.

სათანადო საარქივო დოკუმენტის მოძიების აუცილებლობის დადგომისას მოქალაქე უნდა გამოცხადდეს იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში, სადაც მას გამოკითხავენ, შეუვსებენ განაცხადს, რომელსაც შესასრულებლად გაუგზავნიან შესაბამის რეგიონულ არქივს. განაცხადის შევსებისას წამოჭრილი პრობლემის შემთხვევაში, მოსალოდნელი უზუსტობისა და შეცდომისგან დაზღვევის მიზნით ხდება კონსულტაცია არქივის წარმომადგენელთან. ურთიერთობის ეს ფორმა უზრუნველყოფს მოქალაქისათვის ზუსტი და ამომწურავი პასუხის გაცემას. მოქალაქის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ იგი შეუფერხებლად მიიღებს მოთხოვნილ დოკუმენტს იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში.

**– რა შედის ადგილობრივი წარმომადგენლის ძირითად უფლება – მოვალეობებში?**

– ეროვნული არქივის ყვარლის ადგილობრივი წარმომადგენლობა მუშაობას წარმართავს წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც წინა წლის დამლევს დასამტკიცებლად წარედგინება ეროვნულ არქივს. ადგილობრივი ( ტერიტორიული ) არქივის რეორგანიზაციამდელი უფლება – მოვალეობებიდან წარმომადგენლობას მხოლოდ არქივის დაკომპლექტება დარჩა, დანარჩენი რეგიონულ არქივსა და იუსტიციის სახლს გადაეცა. არქივის დაკომპლექტება ნიშნავს ადგილებზე დაწესებულებებთან ერთობლივ მუშაობას მათი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების ექსპერტიზის ჩატარების, მოწესრიგების, მეცნიერულ – ტექნიკური დამუშავების და სახელმწიფო შენახვაზე გადაცემის მიზნით. ცნობილ მიზეზთა გამო რაიონის წარმოება – დაწესებულებათა აბსოლიტური უმრავლესობა ლიკვიდირებულია, ამიტომ საქმიანობა გვიწევს სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებთან. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს, რესურსცენტრის მუშაკებს და ცენტრის დირექტორს ქალბატონ ქეთი ჭიპაშვილს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

**– მომავლისათვის არის თუ არა იმედი, რომ რაიონს ქონდეს თავისი არქივი, თუ ხართ ინფორმირებული ამ საკითხზე?**

– დაწესებულების საარქივო დოკუმენტების დამუშავების შემდეგ განსაკუთრებული ისტორიული ღირებულების მქონე დოკუმენტები მუდმივად შესანახად გადაეცემა რეგიონულ არქივს, სახელმწიფო მათ უფასოდ ინახავს. რაც შეეხება ხანგრძლივად ( გარკვეული ვადით ) შესანახ დოკუმენტებს მათი შენახვა ფასიანია და ჩვენი დაწესებულებების მეტი ნაწილი ვერ იხდის გადასახადს, ამიტომ დამუშავებული სახით შესანახად მათვე უბრუნდება. ეს დოკუმენტები ყოველთვის იქნება ადგილზე იქამდე, სანამ არ გაუმჯობესდება მათი მეპატრონის ფინანსური მდგომარეობა. სხვა არანაირი ფორმის და შინაარსის სახელმწიფო საარქივო დაწესებულების რაიონში შექმნის აუცილებლობა არ არის, საარქივო დარგის რეორგანიზაცია არ არის ერთჯერადი ღონისძიება და უკან დაბრუნების მოლოდინი არ მაქვს.

**ესაუბრა
დალი ტატულიშვილი**



# წერილები ჩვენს აფხაზ მეგობრებს

ჩვენ ვსწავლობთ ყვარლის II საჯარო სკოლის VI ბ კლასში. ისტორიაში განვიხილეთ თემა: „აფხაზეთი“ (მასწავლებელი თინა ზურაბიშვილი), რომლის დროსაც ძალიან ბევრი რამ გავიგეთ საქართველოს ამ ლამაზი კუთხის შესახებ. თინა მასწავლებლის დახმარებით მოვიძიეთ დამატებითი მასალები, გავეცანით და ჯგუფებმა წარმოვადგინეთ პრეზენტაციების სახით. ვიცით, რომ აფხაზეთი ჩვენი დიდი ტკივილია, რომ რუსეთის დახმარებით მოხდა დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის 1993 წელს და ყველაფერი ეს აფხაზეთის დაკარგვით დასრულდა. სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ვაჟკაცი დაეცა ამ ბრძოლაში. ჩვენ ვისწავლეთ უახლესი ისტორიის ეროვნული გმირის ჟიული შარტავას შესახებ, რომლის სიტყვებიც დავიზეპირეთ: „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს არ უნდა იყოს დიდი ტრაგედია“. გავეცანით აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებს, დასანანია ამ ულამაზესი მხარის დაკარგვა. ჩვენ გვჯერა, რომ აფხაზეთი დაუბრუნდება საქართველოს, რომელიც ძალით მოგლიჯეს დედა-სამშობლოს, ქართველ მოსახლეობას, ძალით დაატოვებინეს მშობლიური ადგილები და საკუთარ ქვეყანაში დევნილებად აქციეს. არ იფიქროთ, რომ პატარები ვართ და ამათ რა იციანო?! ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, ვიცით და ძალიან განვიცდით ყველაფერ ამას. ჩვენ გვჯერა, რომ აფხაზეთი დაგვიბრუნდება, ამაში კი დიდი წვლილი ქართველმა ხალხმა უნდა შეიტანოს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათ მშობლიურ მიწაზე დასაბრუნებლად, იმ მეგობრობის აღსადგენად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველებსა და აფხაზებს აკავშირებდათ. გვინდა ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ამ დიდ საქმეში. თინა მასწავლებლის მითითებით დავწერეთ წერილები ჩვენი აფხაზი მეგობრებისთვის, რომლებიც ძალიან შთამბეჭდავი და გულის ამაჩუყებელია, სკოლაში გამოვფინეთ და გვინდა, რომ ყველამ წაიკითხოს, რას ვწერთ ჩვენ აფხაზ მეგობრებს. დარწმუნებულნი ვართ წერილების წაკითხვის შემდეგ თვალზე ცრემლი მოგადგებათ, ჩვენს აფხაზ მეგობრებს კი ძალიან გაუხარდებათ და დადებით პასუხს დაგვიბრუნებენ.

**ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის
VI ბ კლასის სახელით
ვალერი ტოჩილაშვილი**



# გაზაფხულის ფერები

დედამიწის გულისცემამ ღრუბლებამდე ააღწია. გაზაფხულის სითბომ ჯერ ენძელები გამოაღვიძა, შემდეგ კი ყოჩივარდებმა შემოგვცინეს და გაზაფხულის მოსვლა გვახარეს.

უძირო, ლაჟვარდოვან ცაზე მზე აკაშკაშდა. გაზაფხულის პირველ ყვავილებს ადრე მოყვავილე მცენარეებმაც მხარი მისცეს და მიდამო ჯადოსნურ ფერიას დაემსგავსა.

ენძელა, ყოჩივარდა, ფურისულა გაზაფხულის ის პირველი ყვავილებია, რომლებიც აცოცხლებს ადამიანს, უთბობს სულსა და გულს.

გაზაფხული ქვეყნად სიცოცხლის გაღვიძებასთან დაკავშირებული სინათლის, ფერებისა და ბგერების მონატრებაა, მოლოდინია. თუ არა ეს მოლოდინი, ვინ იცის, როგორ გადავიტანდით ზამთრის ყრუ და უსაშველოდ გრძელ ღამეებს.

მარტში ზამთარი ერთხელ კიდევ ეცდება კუდის მოქნევას, შემდეგ დათბება და ყველაფერი: გამდნარი თოვლისგან გაფუებული მიწა, დაბერილი ხეების კვირტები ახალი ცხოვრებისათვის განეწყობა.

რა იქნებოდა სამყარო ყვავილებისა და ფერების გარეშე.

მადლობა უფალს ლამაზი სამყაროს შექმნისათვის.

**მზია კუპრაშვილი-ოთიაშვილი**



# ოთახის 5 მცენარე, რომელიც ყველაზე მეტ ჟანგბადს გამოყოფს



ბოლო კვლევების თანახმად, მცენარეებს ჰაერიდან აქროლადი ორგანული ნაერთების 87%-ის შეწოვა 24 საათში შეუძლიათ. აქ-როლადი ორგანული ნაერთები როგორც თამბაქოს კვამლს, ისე ხალიჩის მტვერსა და სასურსათო ნარჩენებისგან დაგროვილ ბაქ-ტერიებსაც მოიცავს, ამიტომ საცხოვრებელ სახლში მცენარეების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მთელი დღის განმავლობაში დიდი ოდენობით აზოტის დიოქსიდს, ტყვიასა და ნახშირორჟანგს ვსუნთქავთ, ამიტომ სასურველია ჩვენს საცხოვრებელ სივრცეში ჯანსაღი გარემო მოვიწყოთ. ამის საუკეთესო საშუალება კი ოთახის მცენარეებია. მათ ჩვენი საცხოვრებელი სივრცის გაჯანსაღება შეუძლია. ფოტოსინთეზის შედეგად მცენარე ოთახში დაგროვილ $CO_2$-ს შთანთქავს და ჟანგბადს გამოიმუშავებს; სწორედ ამიტომ, ისეთი ოთახის მცენარეები უნდა შევარჩიოთ, რომელთაც როგორც სასიამოვნო ვიზუალი, ისე დიდი რაოდენობით ჟანგბადის გამოყოფის შესაძლებლობა აქვს.

5 მცენარე, რომელიც ოთახში ყველაზე მეტ ჟანგბადს გამოყოფს და შესაბამისად, ჰაერსაც აჯანსაღებს. აღნიშნულ მცენარეებს უნიკალური თვისებები აქვს და შეგვიძლია, ყველა მათგანი როგორც საძინებელში, ისე ნებისმიერ ოთახში, მათ შო-რის სამზარეულოშიც განვათავსოთ.

**შეფლერა**

შეფლერა ოთახის ფოთლოვანი მცენარეა, რომელსაც ნათელი ადგილები უყვარს, პირდაპირი მზის სხივები მისთვის საზია-ნოა.მცენარე აქტიურად შთანთქავს ისეთ კარცეროგენებს როგორებიცაა: ბენზენი, ფორმალდეჰიდი და ტრიქლოროეთილენი. ეს ნივთიერებები სინთეტიკური სუბსტანციის მქონე პროდუქციაში აქტიურად გამოიყენება, ამიტომ შესაძლოა ისინი ჩვენს სახლებში დიდი რაოდენობით დაგროვდეს. მაგალითად, ბენზენი ბუნებრივი აირის წვის შედეგადაც გამოიყოფა, შესაბამისად სამზარე-ულოში ოთახის მცენარის, ამ შემთხვევაში შეფლერას არსებობა რეკომენდებულია.

სინათლეზე შეფლერას ფოთლები უჭრელდება და დიდი ოდენობით ჟანგბადს გამოყოფს, ანუ ჰაერის კარგი გამწმენდია. ოთახ-ში ჰაერის გამწმენდი მცენარეებიდან პირველ რიგში შეფლერა უნდა შევიძინოთ.

**გაგრძელება მე-9 გვ. -ზე**

# როგორ გავზარდოთ სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობა



სიმინდის კულტურის სარგებლიანობის შესახებ შეიძლება ბევრი რამ ითქვას. მათ შორის: ის აძლიერებს იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს ძვლის სიძლიერეს, ხელს უწყობს უკეთეს მხედველობას, ამცირებს სისხლძარღვთა დაავადების რისკს, ფართოდ გამოიყენება კულინარიასა და მედიცინაში.

საქართველოში სიმინდი XVII საუკუნის II ნახევარში იტალიიდან შემოიტანეს. თავდაპირველად ის დასავლეთ საქართველოში გავრცელდა, სადაც, თითქმის ყველგან, გამოდევნა ადრე იქ გავრცელებული კულტურები: ფეტვი, ღომი, ხორბალი.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში სიმინდი მჭადისა და ღომის სახით ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა სასურსათოდ ადგილობრივი ჯიშების სიმინდს იყენებს, ვინაიდან მათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასურველი გემური თვისებები აქვთ. ადგილობრივმა ჯიშებმა ასეთი გემური თვისებები 350 წლიანი ხალხური სელექციის შედეგად შეიძინა. ასეთი გემური თვისებები არ აქვს დღემდე შემოტანილ არცერთ ჰიბრიდს.

სიმინდის ქართულმა ჯიშებმა დიდი როლი შეასრულა და ეხლაც ასრულებს სასურსათო მარცვლით ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდებოდა მისი საჭიროება, როდესაც ქვეყანა დიდი საფრთხეების წინაშე იდგა: I და II მსოფლიო ომები, ხორბლის დეფიციტი. ასეთ პერიოდებში საქართველოში სიმინდი 350,000-436,000 ჰექტარზე ითესებოდა.

ამჟამად, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ითესება სიმინდის ჰიბრიდები, რადგანაც ისინი მარცვლის მოსავლიანობით 20-50 და ზოგჯერ მეტი პროცენტით სჯობნის ჯიშპოპულაციებს. დღეს ჰიბრიდების გავრცელების პროცესი საქართველოშიც დაწყებულია და იგი მომავალში კიდევ უფრო მასშტაბური გახდება. მაგრამ, რადგანაც ჩვენ ვართ სასურსათო სიმინდის მომხმარებელი, სასურსათო მარცვლის მისაღებად უნდა ვთესოთ ადგილობრივი ჯიშები.

ხოლო ჰიბრიდები შეიძლება დაითესოს მხოლოდ საფურაჟე მარცვლის მისაღებად. ამასთან ჰიბრიდები არ უნდა იყოს გენმოდიფიცირებული.

სიმინდის ადგილობრივი ჯიშების მარცვლის წარმოება სასარგებლოა მოსახლეობისათვისაც და ქვეყნისათვისაც, რადგან, დასავლეთ საქართველოს ჯიშებიდან დამზადებული პროდუქტები: მჭადი, ღომი და სიმინდისაგან მიღებული სხვა პროდუქტები სასურსათოდ უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ისინი ქართული სამზარეულოს მრავალი კერძის განუყოფელი ნაწილია, მათი გამოყენებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში უგემრიელესი კერძების მომზადების რეცეპტებია შექმნილი;

სასურსათო სიმინდის მწარმოებლებს ეზოგებათ ხარჯები პურის შეძენაზე, რომელიც საკმაოდ ძვირი და არც თუ ხარისხიანია; ყოველწლიურად მოსახლეობა სასურსათოდ 130-170 ათას ტონა სიმინდის ფქვილს მოიხმარს ე.ი იზოგება ამდენივე ხორბლის მარცვალი, რომლის შესაძენად 40-50 მილიონი დოლარი უნდა დახარჯულიყო;

ამიტომ, საქართველოში დიდია დაინტერესება სიმინდის მოყვანის მხრივ.

სიმინდის მოსავლის რაოდნეობის გასაზრდელად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავებას. ამ ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა და გაუმჯობესება: უნდა აღადგინოს კოშტოვანი სტრუქტურა, ხელი შეუწყოს წყლისა და საკვების მომარაგებას, გაწმინდოს ნაკვეთი სარეველებისაგან.

ნიადაგის დამუშავების სისტემა შეხამებული უნდა იყოს ადგილობრივ პირობებთან – ჰავასთან, რელიეფთან, ნიადაგის ტიპთან და თესლბრუნვასთან.

სიმინდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზრალად დამუშავების სისტემას, ამიტომ დამუშავება უნდა განხორციელდეს ყველგან, სადაც კი რელიეფი და კლიმატური პირობები ამის საშუალებას იძლევა.

მზრალად დამუშავების სისტემა ორი ღონისძიებისაგან შედგება: ნაწვერალის აჩეჩვა და მზრალად ხვნა.

ნაწვერალის აჩეჩვა მოსავლის აღებისთანავე ტარდება 4–8 სმ სიღრმეზე. ის ხელს უწყობს როგორც სარეველების მოსპობას, ისე ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებას.

აჩეჩვას დიდი მნიშვნელობა აქვს მზრალად ხვნის ხარისხიანად ჩასატარებლად. ნაწვერალის ჯერ აჩეჩვა და შემოდგომა–ზამთარში სრულ სიღრმეზე ხვნა სიმინდის მოსავლიანობას მნიშვნელოვნად ზრდის;

კერძოდ ნაწვერალის აჩეჩვის შედეგად სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 2–3 ცენტნერით იზრდება, ხოლო ურწყავ პირობებში 2–4 ცენტნერით.

მზრალის თესვის წინა დამუშავების სისტემა გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს. ადრე გაზაფხულზე ნიადაგი უნდა დაიფარცხოს კბილებიანი ფარცხით, ხნულის გარდიგარდმო; თუ ხნულზე სარეველები განვითარდა, ან ნიადაგმა პირი წაიკრა, დაუყოვნებლივ უნდა ჩავატაროთ კულტივაცია.

სიმინდისათვის საუკეთესო პირობები იქმნება ისეთ მზრალზე, რომელიც ადრე გაზაფხულზე დაიფარცხა და თესვის წინ კულტივატორით დამუშავდა. ეს უზრუნველყოფს, როგორც სარეველების მოსპობას, ისე ტენის შენარჩუნებას.

რაც უნდა მცირე ქანობის იყოს ფერდობი, მასზე ხვნა აუცილებლად გარდიგარდმო უნდა ჩატარდეს. ძლიერ დაქანებულ ფერდობზე, ჭარბტენიან ფართობებზე მზრალად ხვნა სასურველ შედეგს არ მოგვცემს.

ასეთი ნაკვეთები გაზაფხულზე რაც შეიძლება ადრე უნდა მოვხნათ. დასავლეთ საქართველოში ნასიმინდარი უნდა მოიხნას არა შემოდგომაზე, არამედ ზამთარში – ნოემბრიდან თებერვლამდე.

სიმინდის ნიადაგის განოყიერების საუკეთესო საშუალებაა ორგანულ – მინერალური სასუქები, ასეთ შემთხვევაში ერთროულად ვიყენებთ სხვადასხვა ორგანულ და მინერალურ სასუქებს.

სიმინდის გასანოყიერებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული საშუალება: ნაკელი, მწვანე სასუქი, მინერალური სასუქი, ხოლო მჟავე ნიადაგებზე მათ გარდა კირი, კილი, დეფეკაციური ტალახი და კირის შემცველი სხვა სასუქები.

გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ სასუქების შეტანის შემდეგ, სიმინდის მოსავალი ჰექტარზე, მხოლოდ ნაკელის გამოყენებით (20ტონა/ჰა) 3 ცენტნერით გაიზარდა. ნაკელზე ფოსფორის დამატებით – 6.1 ცენტნერით, ხოლო ნაკელი + აზოტი + ფოსფორით – 10.7 ცენტნერით.

სიმინდისათვის მინერალური სასუქების სავარაუდო დოზებია:

- აღმოსავლეთ საქართველოში N90-120P90-120K45;
- დასავლეთ საქართველოსთვის N120-150P90-120K60;

ნაკელის (ან სხვა ორგანული სასუქის) შეტანის შემთხვევაში მინერალური სასუქების დოზები უნდა შემცირდეს, ნაკელში (ორგანული სასუქის) საკვები ელემენტების შემცველობის მიხედვით.

ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივად გამოყენება საუკეთესო საშუალებაა სიმინდის მოსავლიანობის გაზრდისთვის.

მწვანე სასუქად აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გამოვიყენოთ: ცულისპირა, ბარდა, ცერცველა. ისინი უნდა დაითესოს საშემოდგომო ხორბლის ან ქერის შემდეგ სანაწვერალოდ.

ნაკვეთი მოსავლის აღებისთანავე უნდა მოიხნას, ჩაუტარდეს კულტივაცია და თესვა შუა აგვისტოს არ უნდა გადავაცილოთ. დათესვისთანავე ნაკვეთი ფრთხილად უნდა მოირწყას, ამით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 15–20 ტონა ჰა მწვანე მასა, რომელიც მზრალად მოხვნის დროს ჩაიხვნება.

მწვანე სასუქის მოქმედება გრძელდება 3–4 წელს. ამ ხნის განმავლობაში (სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი გატარებით) მიღებული მარცვლის ნამატი ჯამში 45 ცენტნერს აჭარბებს ჰექტარზე.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

## განცხადებები

მეუღლე ნათელა, შვილები გელა და ბელა; შვილიშვილები: თამთა, დაჩი, ნათია, გიგა; რძალი ირმა, სიძე ზაზა კაპანაძე; ძმა კაკო სეფაშვილი ოჯახით; ბიძაშვილები და მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კარლო (ჟინერი) სეფაშვილი.

პანაშვიდი 25.03, 17 სთ. დაკრძალვა 26.03 14 სთ.

გაზეთ „ყვარელი“-ს რედაქციის თანამშრომლები, თანაგრძნობას უცხადებენ ლია გიგიტაშვილს, დედის – თამარ გიგიტაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ყვარელი“-ს რედაქციის თანამშრომლები, თანაგრძნობას უცხადებენ ნანა და ნონა მოლაშვილებს დედის, ლიანა ტოჩილაშვილის გარდაცვალების გამო.



# ჭინჭარი – სამკურნალო მცენარე

ჭინჭარი მრავალწლიანი ორსახლიანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი ფესურითა და მიწისქვეშა ყლორტებით. ღერო ოთხწახნაგოვანია. მასზე, ისევე როგორც ფოთლებზე, მოთავსებულია მსუსხავი ბუსუსები, რომლებიც საინექციო შპრიცის მსგავსად მოქმედებენ.

მსუსხავი ბუსუსები ფუძესთან უფრო განიერია, ვიდრე წვეროში. მათში მოთავსებული სითხე, წაგრძელებული წვეროს ბუსუსების კედლები გაჟღენთილია კაჟმიწით. ისინი ადვილად იმსხვრევიან და შეხებისას წვრილი ბოლოთი კანს აზიანებენ. ჭრილობებში ხვდება ბუსუსში მოთავსებული მჟავა და იწვევს მის დასუსხვას.

ფოთლები კვერცხისებრ-ლანცეტისებრია ან ლანცეტისებრი, ხორკლიან-ბუსუსიანი, ფუძესთან გულისებრი, ნაპირებში მსხვილხერხისებრკბილა. ისინი მდებარეობენ მოპირისპირედ გრძელ წვრილ ყუნწებზე.

ყვავილები წვრილია, მწვანე, ერთსაფარიანი, შეკრებილია უბეებში თავთავისებრ ყვავილედებად. თავთავები მტვრიანი ყვავილებით სწორმდგომია, ბუტკოიანი თავდახრილი. ყვავილობს ივნისიდან შემოდგომამდე. ნაყოფი – კაკლურაა, რომელიც მოთავსებული ყვავილსაფარში;

ჭინჭარი ხარობს როგორც მშრალ, ასევე ნესტიან ადგილებში, ოღონდ, ყოველთვის ნოყიერ ნიადაგში, სახლებთან, ღობეების ძირში, გზის პირებში, ტყეებში.

ნედლეულად იყენებენ მხოლოდ ფოთლებს, ღეროებისა და ყვავილების გარეშე. მათ აგროვებენ ივნის-აგვისტოში აყვავებული მცენარეებიდან. ყვავილობის მერე ჭინჭარი კარგავს სამკურნალო თვისებებს.

ჭინჭარს აგროვებენ ხელთათმანით, ჭრიან ნამგლით ან ცელით. დამჭკნარი ნედლეული აღარ ისუსხება და შეიძლება ღეროდან ფოთლების მოცილება შიშველი ხელით.

ზემოთ აღნიშნული ჭინჭრის გარდა გვხვდება სხვა სახეობის ჭინჭარიც, რომლის თესლები ძალიან მცირე ზომისაა, ფოთლებიც შედარებით პატარაა, ოვალური, კიდეები უფრო ღრმად ჩაჭრილი და ბლაგვკბილებიანია. მისი ნედლეულად გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

ჭინჭარს იყენებენ ქრონიკული ვარიკოზული წყლულებისა და სისხლნაკლებობის დროს. ჭინჭრის ფოთლების ნაყენს იყენებენ, როგორც სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალებას ბუასილის დროს.

ჭინჭარი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. დასალევი ნაყენის მისაღებად, 4 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ ფოთოლს ერთ ჭიქა მდუღრე წყალს ასხავენ და სვავენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

ჭინჭრის წვენს იყენებენ თირკმელებში კენჭის წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე შარდსადენი გზების ინფექციური დაავადების მკურნალობის დროს.

თმის ცვენის დროს აიღეთ 1 სუფრის კოვზი ჭინჭრის ფოთოლი, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1,5 სთ, გაწურეთ შეიზილეთ ნაყენი ახალადაბანილ და გამშრალ თმაში კვირაში ერთხელ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

# ოთახის 5 მცენარე, რომელიც ყველაზე მეტ ჟანგბადს გამოყოფს



დასაწყისი მე-9 გვ. -ზე

შეფლერას მოვლა მარტივია: მას ზომიერი რაოდენობით წყალი დაახლოებით კვირაში ორჯერ უნდა მივაწოდოთ. თანაბრად ეგუება როგორც სინესტეს, ასევე სიმშრალეს.

მცენარე, რომელიც ჩვენ საცხოვრებელ სივრცეს ჟანგბადით ამარაგებს.

### ფიკუს ბენჟამინი

შეფლერას მსგავსად, ფიკუს ბენჟამინიც ჰაერის გამწმენდია და დიდი ოდენობით ჟანგბადს გამოყოფს. მას სახლში ნათელი ადგი-ლი უნდა მივუჩინოთ, ამავდროულად უნდა ვეცადოთ პირდაპირი მზის სხივები არ მოხვდეს.

ფიკუს ბენჟამინი იზრდება დაახლოებით 1 მეტრი ან 1,5, აქვს ჭრელი ფოთოლი. მცენარეს შეუძლია სიმშრალე მარტივად აიტა-ნოს.რაც შეეხება მისი მოვლის წესებს: როდესაც ტემპერატურა დაახლოებით, 15 გრადუს სითბოს მიაღწევს, შეგვიძლია მცენარე გარეთ გავიტანოთ, თუმცა ქარიან ადგილს უნდა მოვარიდოთ, რადგან ფოთლები ცვენას დაიწყებს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღერძის გამაგრებამდე ფიკუს ბენჟამინს საყრდენი ესაჭიროება, რათა არ გადაიხაროს და ფორმა არ დაკარგოს. რაც შეეხება მორწყვის პერიოდს, უნდა დავაკვირდეთ, ფიკუს ბენჟამინს ნიადაგი რამდენად გამოუშრება და ამის მიხედვით ვიხელმძღვანელოთ. ასევე სასურველია, რომ მცენარე ტორფნარევ და პერლიტიან მიწაში ჩავრგოთ.

### სანსიევერია

სანსივერია როგორც ვიზუალით, ისე გამძლეობითა და ჟანგბადის გამოყოფის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მცენარეა.მისი მოვლა შეფლერას მსგავსად სირთულეებთან დაკავშირებული არ არის. სანსივერია წყალს ნაკლე-ბად ითხოვს და მორწყვას დაახლოებით კვირაში ერთხელ, ან თვეში ორჯერ საჭიროებს.

ჩამოთვლილი მცენარეების მსგავსად, პირდაპირი მზის სხივები მასზეც მავნე ზეგავლენას ახდენს, თუმცა ამავდროულად სიჯან-საღის შესანარჩუნებლად სინათლე ესაჭიროება. ამ ულამაზესი ტროპიკული მცენარისთვის სასურველია ფხვიერი და ნოყიერი მიწა შევარჩიოთ, რომელსაც ტორფით გავაჯერებთ და პერლიტს გადავურევთ. პერლიტი ნიადაგს სინესტეს უნარჩუნებს და აფხვიერებს, რაც მცენარის ზრდა-განვითარებაზე დადებითად მოქმედებს.

### დრაცენა

სიმშრალეს დრაცენაც მარტივად ეგუება, ჩვენს საცხოვრებელ ოთახებს ჟანგბადით ამდიდრებს და თითქმის ყველა მავნე ნაერთს შთანთქავს. თუ გვსურს, რომ მცენარეს სწორად მოვუაროთ, სასურველია ნიადაგი ბოლომდე გამოუშრეს და მორწყვის დროს უხ-რალოდ დანესტიანდეს. იმის გათვალისწინებით, რომ გადატვირთული რეჟიმის გამო ხშირად ოთახის მცენარეებს სათანადო ყუ-რადღებას ვერ ვაქცევთ, დრაცენას მოვლა ძალიან მარტივია და დიდ დროს არ მოითხოვს.



დრაცენა „უპრობლემო“ მცენარეა, მარტივად არ ფუჭდება და თითქმის ყველანაირ პირობებას ეგუება. ერთადერთი, რამაც შეიძ-ლება მცენარისთვის სიჯანსაღის დაკარგვა გამოიწვიოს – მისი ცივ ადგილზე განთავსებაა, რადგან ცივმა ჰაერმა შეიძლება ფოთლები დაუზიანოს და ვიზუალი მკვეთრად შეუცვალოს. ის უნდა ჩავრგოთ ფხვიერ, ტორფიან ნიადაგში. რეკომენდებულია პერ-ლიტის შერევაც. მცენარე ნელა იზრდება, საბოლოოდ კი სიმაღლეში დაახლოებით 1,5 ან 2 მეტრს აღწევს.

### კროტონი

მე-5 და ჟანგბადის არანაკლებ დიდი მოცულობით გამომყოფი მცენარე კროტონია, რომელსაც სინათლე და პირდაპირი მზის სხივები უყვარს.მზის სხივების ზემოქმედების შედეგად, კროტონს ფოთლები უჭრელდება, ამიტომ ვიზუალით სახლის მცენარეე-ბის ბევრი მოყვარულის ფავორიტია. კროტონიც ნელა იზრდება და ზომიერი რაოდენობით წყალს ითხოვს. სიმაღლეში დაახ-ლოებით 1,5 მეტრამდე იზრდება.

მცენარე ფხვიერ, განოყიერებულ ნიადაგს საჭიროებს. მისი კიდევ ერთი დადებითი მხარე კი ისაა, რომ შეგვიძლია როგორც სა-ძინებელ, ისე მისაღებ ოთახში, ნათელ ადგილზე განვათავსოთ. მცენარის მოვლა მის სიჯანსაღეზე პირდაპირ აისახება.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# უნიჭიერესი პოეტის ნინო უძილაურის შემოქმედების ახალი მარგალიტები



## „ლექსია სულის ქათიბი“

„ლექსია სულის ქათიბი
გრძნობით ნაქარი სამოსი“

– ამბობს ერთ-ერთ თავის ლექსში პოეტი ნინო უძილაური, ხოლო მისი წიგნის წინასიტყვაობაში ცნობილი მწერალი რევაზ მიშველაძე წერს: „წავიკითხე ნინოს ლექსები და ისე გადამედო ამ ლექსებში ჩაწნული პოეტური კდემა, ჭეშმარიტი ლირიზმი,სიყვარულის ნოსტალგია და საყვარელი არსების მონატრების ტკივილამდე შემძვრელი ვნება, რომ გადავწყვიტე დამერეკა ავტორისათვის და მეთქვა:თქვენ ჭეშმარიტი პოეტი ბრძანდებით! ეს წიგნი ნინო უძილაურის შემოქმედებას მეტნაკლები სისრულით ასახავს და წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმ გზაზე, რაც პოეტური მუზის ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებულმა ლექსის ოსტატმა გაიარა“...

ძნელია, ამაზე უკეთესად რაიმეს თქმა, მაგრამ მეც უნდა დავუმატო, რომ ნინოს ლექსებს, ტექნიკურ-სარითმო ხორკლების მიუხედავად, ახასიათებს უშუალობა, სიმარტივე, სათქმელის ნათლად და დამაჯერებლად მიტანა მკითხველამდე; ის არ ატარებს პოეტურ ექსპერიმენტებს, არ ეძებს ბუნდოვან სალექსო ფორმებს, არ გვთავაზობს გაუაზრებელ ვერსიფიკაციულ სირთულეებს; მისი ლექსები ხომფშავ-ხევსურული სამყაროდან იღებს სათავეს, (ის ხომ „ფშავლის ქალია“ წარმოშობით ფშავის სოფელ უძილაურთიდან!), სადაც ხალხურ პოეზიას, სათქმელის სიმარტივეს და სისადავეს „გრძნობით ნაქარგი ლამაზი სამოსი აცვია“, რაც მხატვრულ-მეტაფორული ხილვებით გვამახსოვრდება: „წუხელ სიზმრები გავაფერადე“ – ამბობს ნინო ერთ თავის ლექსში და მართლაც, მის ლექსებში სიზმარ-ცხადიდან დანახული სამყაროა წარმოჩენილი, სადაც პოეტს სურვილი უჩნდება, რომ სიყვარულის „ალმოდებულმა კოცონმა კოცნოს“, რადგან იცის, რომ „ლექსი ისე არის, როგორც სულის სარკე, სიტყვებს მარგალიტად თუკი გადაკინძავ“, სადაც „სიტყვის მარგალიტებით“ ყველაფერი ლამაზად მოჩანს:

„საღამოს მთვარეს დაველოდები,
რომ მომიქსოვოს ფერების გამა“,

როდესაც მას თავისი უძვირფასესი ადამიანისთვის შეუძლია თქმა:

„შენ დაიბადე, მეც დავიბადე,
ჩვენ ერთად ყოფნა დაგვბედებია,
წლები რა უცებ გადავიარეთ,
ბედნიერები არ ბერდებიან“..

და მეც დავამატებდი: ბედნიერი პოეტები არ ბერდებიან!....

ნინო კი ბედნიერია და მისი ლექსებიც ოპტიმიზმით და სიყვარულით გვავსებენ...

ბოლოს მინდა, ნინო უძილაურს ვუსურვო, რომ მკითხველის სიყვარულით გამოწვეული სიხარული და სიყვარული არ მოკლებოდეს!...

**ბაღათერ არაბული**
**პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორი**

## იგი პოეტად დაიბადა

ნინო უძილაური ქართულ პოეზიაში ახლახანს გამოჩნდა.

მოვიდა იგი თავისი პირველი მშვენიერი წიგნით ხელში, (ლექსების კრებული) მოვიდა და თან მოიტანა წუთისოფლის თავისუფალი, ნინოსეული ხედვა, გამორჩეული ხმა და გასაოცარი შინაგანი გულწრფელობა.

ნინოს ლექსებს მთის ყვავილთა სურნელი და პირველყოფილი უშუალობა მოჰყვა.

მქონდა პატივი წინათქმა წარმეძღვნა ნინოს პირველი წიგნისთვის, „მე ფშავლის ქალი“ და მწერალთა კავშირის მისეულ წიგნაკსაც სიამოვნებით მოვაწერე ხელი.

მე არა მწამს კრიტიკოსების მიერ ამორჩეული ფრაზებისა „პოეტი დღითიდღე იზრდება', „იგი შემოქმედებითი დაოსტატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიემართება“ და ა.შ.

პოეტები არ იზრდებიან.

პოეტებად იბადებიან და ასე რჩებიან სიცოცხლის ბოლომდე.

ნინო უძილაური დაბადებით პოეტია.

დანარჩენს თვითონ გვეტყვის თავისი ხალასი, თვითმყოფადი, დროის დრამატიზმით დამუხტული ლექსებით.

**რევაზ მიშველაძე**
**საქართველოს სახალხო მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი**

## „ვიპრანჭები, გაზაფხულდა“

ვიპრანჭები, გაზაფხული მოახლოვდა,
მარტის თვეა, აფეთქდება
კვირტი ნუშის,
გაიშლება ათასფერად ჭრელი კაბა,
კაბასავით იშრიალებს გრძნობაც გულში.

ქალი კი ვარ, ქათინაურს გავურბივარ,
გაზაფხულმა აადუღა სისხლი ძარღვში,
ყალბი ფლირტი სულ არ მხიბლავს,
ასეთი ვარ,
გაზაფხულად ვერ ვივარგებ უცხო ბაღში.

მერე რა რომ მარტის თვეა, სიგიჟეა,
სამყაროც კი აირია, ვერა ხედავ?
სიყვარული განა ასე ადვილია,
სიყვარულით მეფიქრები იმდენს ბედავ.

გრძნობა კვირტად იბერება, აფეთქდება,
აფეთქდება მარტის თვიდან გაზაფხულიც,
ქალი კი ვარ, ქათინაურს გავურბივარ,
ვერ დავრჩები სხვისი გრძნობით
დაზაფრული.

ვიპრანჭები, გაზაფხულდა, მარტის თვეა,
ჭირვეულობს მზე წვიმასთან
როგორც ქალი,
გულს ხალისი შეპარვია, თბილი დღეა,
მზის სხივებსაც ეპარებათ ჩემსკენ თვალი.

## „არ მსურს“

დამდგარ ზღვის ტალღებს,
ჩამდგარ ქარიშხალს,
ვნების გარეშე მოალერსე
ქალ-ვაჟის ტრფიალს,
არ მსურს ვუცქირო,
რადგან დრო-ჟამი სამუდამოდ
ამ უმეცრების,
ალბათ მალე მორჩება ფრიალს.

მინდა სიცოცხლის აზარფეშა
მარადიულად სასურველი
ღვინით შევავსო,
დადუღებული შევსვა მაჭარი,
და ბობოქარი, მათრობელი
გრძნობა ავავსო,
რომ გადავლახო ჯებირები,
რადგან სასმისი მოთმინების
სავალ გზაზე,
თითო წვეთმა ვხედავ გაავსო.

მარადიული სიცოცხლისთვის,
მინდა რომ ჩემი
გულთმბრძანებელის მაამებელ,
სასიცოცხლოს შევეხო რითმებს,
რადგან სიცოცხლეც საუკუნოდ
მონავარდე ერთი წუთია,
და ცის ქვეშეთშიც
სული ჩემი უსასრულოდ,
გრძნობით დაცლილ
და დათმენილ ტკივილებს ითმენს.

ოჰ, როგორ მინდა
ამიტაცებდეს ცის კიდესთან
თავმომწონედ მდგარი თეთრონი,
და დასალიერს ზღვიდან მთამდე,
უსასრულოდ სიმშვიდეში გამიტაცებდეს,
ან უკაცრიელ მარტომყოფის
სამფლობელოში,
ლექსის მუზებთან, სიყვარულის
მივსებდეს სასმისს,
და მარადიულ ნეტარებით
თეთრ სამოსელში, მდუმარებით
მმოსავდეს კრძალვით.

დამდგარ ზღვის ტალღებს,
ჩამდგარ ქარიშხალს,
ვნების გარეშე მოალერსე
ქალ-ვაჟის ტრფიალს,
არ მსურს ვუცქირო,
რადგან დრო-ჟამი სამუდამოდ
ამ უმეცრების,
ალბათ სულ მალე მორჩება ფრიალს.

## „დავაღალატე ისევ ღალატი“

წუხელ მთვარესთან დაგაღალატე,
მთვარეს უჩანდა შენი თვალები,
წუხელ ზღვასთანაც რომ გიღალატე,
ზღვა სიყვარულის მწვავდა ალები.

მერე გარიჟრაჟს გავეარშიყე,
თითქოს მკოცნიდნენ შენი ტუჩები,
ეს სიყვარული და კაეშანი,
მათრობდა, ალბათ ვერც ვიურჩებდი.

სიყვარულისგან ღამენათევი,
სხივებში ჩანდა შენი ფერება,
და გული წრფელი, თბილი, ნათელი,
დილის მზის სხივით რომ მეფერება.

მე ამ ღალატით დავგმე ღალატი,
დავგმე და სევდაც შემომეხეთქა,
სიყვარულია მხოლოდ მთავარი,
სიყვარულს სიტყვა ეთქმის ღმერთებთან.

მიყვარს ეს გრძნობა, წრფელი, ხალასი,
მარადიულად გულში რომ ფეთქავს,
დავაღალატე ისევ ღალატი,
დავაღალატე... რადგან ბევრს ბედავს!

## „შემოჭრილ ფიქრებს“

შემოჭრილ ფიქრებს შემოდგომის დაჰყვება სუსხი,
ველარ ვიხსენებ ბავშვობის და ყრმობის კელიებს,
თვალებდათოვლილ ზამთრის ბაღებს ამაყად ვუცდი,
და მოგონებებს მოვუყვები კეთილ ფერიებს.

ვზივარ და ვფიქრობ, რისთვის ჩნდება ადამიანი,
თუკი სიცოცხლე მოელვარე ერთი წამია,
მარადიული სილამაზე ალბათ ის არის,
რაც უფალს სული ჩვენს სხეულში ჩაუმალია.

ჩამოათოვებს ჩემს ბაღებზეც ზამთრის ფიქრები,
მარადიულად სიყვარულში კვლავ ვიფერფლები,
დაბადებიდან გარდასვლამდე ვიდრე ვიქნები,
სამყაროს ისევ თბილ სხივებად მოვეფინები.

## „შეშლილი შლეგი“

შეშლილი, შლეგი, მაინც შარმით გაჰყევი ბილიკს,
ზეშემართულმა მოიარე მთელი სამყარო,
ყურს ნუ დაუგდებ არშემდგართ და დაბოღმილთ ქილიკს,
იფრინე ზეცას შენი სიშლეგე რომ გაამყარო.

გაუღიმილე გულში ჩამდგარ ყველა ოცნებას,
მეხთა გუგუნში არ დაკარგო იმედი ხვალის,
ზურმუხტისფერი ცად ღრუბლები უცდიან ნებას,
შენი სურვილი აიტაცონ მაღლა ზეცამდის.

გაიხალისე სიცოცხლე და ცხოვრება მთელი,
მი და მოფანტე მარგალიტად შენი ღიმილი,
მოეფერე და ჩაიხუტე ის ვინც შენ გელის,
მუხლს ნუ მოიდრეკ, არ უხდება ბრძოლას ტირილი.

შეშლილი, შლეგი, კვლავაც შარმით გაჰყევი ბილიკს,
მი და მოფანტე მარგალიტად ღიმილი შენი,
ყურს ნუ დაუგდებ არშემდგართ და დაბოღმილთ ქილიკს,
ეგ სიყვარული, გულში რაც გაქვს, საოცრად გშვენის.

## „მოგონებები“

ეს წუთიერი გაელვება რა იყო ნეტავ,
ბახუსის წვეთებს ვერ ელევა გრძნობა გვიანი,
ცოტაც და ალბათ მოიტაცებს სამყარო ვხედავ,
მოიტაცებს და დაღონდება დილაც მზიანი.

დაგდებულ კალამს ახლაც ვუმზერ წარსულის ხედვით,
დაუფლებია ნოსტალგია მუზების მეფეს,
შავად შეფერილ ღვინოს შევსვავ მალული გრძნობით,
და მერე ღვინოს დავაბრალებ ტირილს და ცრემლებს.

ეს წუთიერი გაელვება ავსებს სიცოცხლეს,
მოგონებებში გადაბარგდა ნეტარი წამი,
შავად შეფერილ ღვინოში კი მუდამ იცოცხლებს,
მოგონებებში ჩაკარგული ის დრო და ჟამი.

## „რატომ აღარ ვგაზაფხულობ იცი?“

რატომ აღარ ვგაზაფხულობ იცი?
სულში თითქოს ზამთარია ცივი,
სასთუმალთან ჩამომჯდრი ჩიტი,
წარსულს ჰყვება და საბრალოდ წივის.

რატომ ჩადგა ამ თვალებში სევდა?
თითქოს გული უკვდავებით ფეთქავს,
გრძნობები კი გაფანტული ირგვლივ,
სინანულის მოგონებებს კინძავს.

არ თქვა ისევ მოგენატრე კარგო,
ნუ თვალთმაქცობ თითქოს არ დამკარგო,
თორემ გულში დამალული ფიქრი,
უმალ გამხელს და ვნებებში მიქრის.

ნუღარ გიკვირს, ჩამოთოვა სევდამ,
სულს გაუჩნდა ღრმა ჭრილობა, გეტყვი,
ალბათ ჩემმა სიყვარულით ხედვამ,
თავის დროზე გაპატია ბევრი.



## „რა საჭიროა ფარისევლობა“

რა საჭიროა სიყვარული ფარისევლური,
ნუ ჩაეძიე დედამიწას როგორ ტრიალებს,
ვითომ სიკეთე სიყვარულში გადაბნეული,
ვერ მოგაშორებს დაჩეხილ და ცოდვილ იარებს.

რა საჭიროა მოტყუება მეგობრობისა,
და სიცრუეში გაცრეცილი ფლიდი ღიმილი,
ჩემი ტკივილის ვითომ შენად გადაქცევისა,
და ბაგეთაგან წარმოთქმული გლოვა-ტირილი.

ვის რად სჭირდება სამზეურად გამოტანილი,
ვაი-ვიშვიში და უგულო ვითომ თანდგომა,
გვერდზე გადექი, სიცრუე გაქვს თან მოტანილი,
ველარ მივიღებ და ნუ გინდა აქ ასე დგომა.

გამოგიცანი, ისეც გიცნობ, ვერ დამემალე,
ყველა გამვლელში დაგენახე გაწვდილი ხელით,
გადამაბიჯე და ერთხელაც არ დაგენანე,
გადასაგდებად გამიმეტე ორივე ხელით.

ვის რაში უნდა მოსაწყენი დითირ-ამბები,
ქება-დიდება, შეფერილი მარაზმი დიდი,
საიდან ბუდობს სიყალბე და ბოლმა ამდენი,
ადამიანო, ნუ იქეცი ეშმაკზე ფლიდი.

ცაზედ ვარსკვლავნი,ზღვაში ქვიშა, ხმელეთზე კენჭი,
ფერს არ შეიცვლის ვიდრე ამის ჟამი დადგება,
წადი და ცოდვა მუხლებზე რომ სიმძიმედ გაწევს,
ჩამოიფერთხე, სიყვარულიც ვიდრე გაცვდება.

დამძიმებულმა, დაჩოქილმა გავაღე კარი,
და სასთუმალთან ჩამომჯდარი ვით შევიცანი,
დარაბებს მიღმა ფრინველთ გუნდი ხარობდა დარით,
და იდუმალი სინანული ამოვიცანი.

## „ამიტომ პოეტო“

სულით ფაქიზი ხარ და იწვი პოეტო,
სულში ჩამალული დარდით და ფიქრებით,
პოეტნიც ამიტომ, ამიტომ ვპოეტობთ,
ავენთოთ კელაპტრად სანამ აქ ვიქნებით.

და მერე საწუთრო ჩვენს ლექსებს მოაბნევს,
ღიმილად, ფიქრებად და დასაფიქრებლად,
ამიტომ პოეტო უნდა იპოეტო,
უნდა გადმოდინდე ზღვა მარგალიტებად.

# ყვარელში უეფა-ს მეორე კატეგორიის სტადიონი აშენდება



ყვარელში უეფა-ს მეორე კატეგორიის დონის სტადიონი აშენდება, რომელიც 2500 მაყურებელზეა გათვალისწინებული.

როგორც ჟურნალისტებს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ სესიაშვილმა განუცხადა, სტადიონი „მუნიციპალური განვითარების ფონდის" დაფინანსებით აშენდება და მასზე სავარაუდოდ, 4-6 მილიონი ლარი დაიხარჯება.

„უეფა-ს მეორე დონის კატეგორიის სტადიონი, რომელსაც „მუნიციპალური განვითარების ფონდი" დააფინანსებს, ყვარლის ტბის და ედემის გზის მარჯვენა მხარეს აშენდება. აქ ადრე, 90-იან წლებშიც შენდებოდა სტადიონი, თუმცა სამწუხაროდ, ვერ დასრულდა. ტერიტორიას აქვს კარგი სადრენაჟე სისტემა და ბუნებრივი კლიმატური პირობები. ვფიქრობთ, საუკეთესო ადგილია მსგავსი დონის სტადიონის ასაშენებლად", – განაცხადა როსტომ სესიაშვილმა .

სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტრიბუნები, საშხაპეები, გასახდელები მოეწყობა.

სესიაშვილის განცხადებით, სტადიონის პროექტირებაზე ,რომლის სატენდერო თანხა 170 ათასი ლარია, ტენდერი უკვე მიმდინარეობს. მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება და 2020 წელს დასრულდება.

**ჟანა დიდებაშვილი**

## მილოცვა

### ქალბატონ ქეთევან ჭიაშვილს!



უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე და გისურვოთ კიდევ უამრავი გაზაფხულის კარის შეღება კეთილი გულითა და კაცთმოყვარე ბუნებით. არასოდეს მოგკლებოდეთ ღვთიური ნიჭი სხვისი ტკივილის გაზიარებისა და მწუხარების გალხინებისა.

გისურვებთ ჭირთა თმენას, ლხინთა თმობასა და სიხარულის მოლოდინს!

იხარეთ, იმრავლეთ და იბედნიერეთ ჩვენდა საიმედოდ!

**თქვენი პატივისმცემელთა სახელით ლუიზა დავითაშვილი**



# დასუფთავების აქცია

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლების ინიციატივით დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეებმა საბუისა და ალმატის დამაკავშირებელი გზა და სოფლის სტადიონის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღეს მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა.



# სპორტულ ასპარეზობებზე

## ფრენბურთი

16 მარტს ყვარლის სასპორტო სკოლაში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში კახეთის ზონის გუნდებისათვის. აღნიშნულ შეჯიბრებაში ყვარლის რაიონის ღირსებას იცავდა ახალსოფლის №2 საჯარო სკოლის ფრენბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდი.

ჩვენი ფრენბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთ ჯგუფებში დაამარცხეს ყველა მეტოქე და დაიკავეს პირველი ადგილი.

ფინალურ შეხვედრაში მათი მეტოქე იყო მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებული ლაგოდეხის გოგონათა გუნდი. მათი უშუალო შეხვედრა მიმდინარეობდა მეტად საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში, პირველი პარტია მოიგო ლაგოდეხის გუნდმა, მეორე და მესამე პარტიაში კი ყვარლელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათივე გამარჯვებით დასრულდა.

ამრიგად, ჩვენმა გუნდმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა კახეთის ჩემპიონობა და ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება.



24 მარტს ანალოგიური შეჯიბრი გაიმართა ვაჟებს შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლელმა ფრენბურთელებმა. მათ ფინალური შეხვედრა მოუგეს დედოფლისწყაროს გუნდს და კახეთის ზონის ჩემპიონები გახდნენ.

ფინალური შეხვედრა საქართველოს მასშტაბით გაიმართება ზაფხულში და მეტოქე გამოვლინდება თბილისისა და დასავლეთ საქართველოს ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებს შორის.

**ალეკო ქაფიანიძე**

# გაზაფხულის ტურნირი წარმატებით დაამთავრეს ყვარლელმა მორაგბეებმა



2-3 მარტს ყვარლის სარაგბო კლუბმა „ბულებმა" 2019 წლის გაზაფხულის ტურნირის პირველი თამაშები ჩაატარა თბილისის ნუცუბიძის დასახლებაში ახლად გახსნილ სარაგბო სტადიონზე. ტურნირის პირველ დღეს თამაშები ჩატარდა 8 და 10 წლის მორაგბეთა გუნდებს შორის.

ყვარლის გუნდები გამოვიდნენ ორივე ასაკში. შუადღის ცვლაში თითოეულ გუნდს უნდა ეთამაშა 3 თამაში, ამინდი იყო არასასურველი (ძლიერი ქარი და სიცხე).

პირველად დაიწყო თამაშები 10 წლიანებს შორის, ჩვენი მეტოქე იყო თბილისის „მერანი". აქ ტრადიცია დაირღვა და პირველივე თამაში მოიგო ყვარლის „ბულებმა" 20:15, მათ შორის ერთი ლელოთი.

მეორე თამაში თბილისის „ყოჩებთან" დამთავრდა ფრედ 20:20;

მესამე თამაში თბილისის „ვაკე აკადემიას"თან ჩატარდა, მაგრამ ბიჭები მოეშვნენ და ერთი ლელოს სხვაობით 15:10 წააგეს. 5 საათისთვის დაიწყო ტურნირი ყველაზე პატარების, 8 წლიანების მორაგბეთა შორის.

პირველი თამაში ჩვენმა ბიჭებმა რუსთავის „ხარებთან" ითამაშეს და მოიგეს 30:10; ტურნირის ორგანიზატორებმა ითხოვეს ზედიზედ მეორე თამაშის ჩატარება (რადგან „ჯიქი" არ გამოცხადდა) „ხვამლთან". ბიჭებმა მოიწადინეს და გადააბეს მეორე თამაშიც, რომელიც მშრალი ანგარიშით 35:0 მოიგეს.

ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ ყვარელის გუნდს მოუწია დაგვიანებულ „ჯიქთან" შეხვედრა. ბიჭებმა არც აქ შეირცხვინეს თავი და მეტოქის ერთ ლელოს თავისი ათით უპასუხეს და თამაში დამთავრდა ყვარლელთა სასრგებლოდ 50:5-ზე.

ხოლო მეოთხე თამაში ჩაატარეს პატარძეულის „ვეფხვებთან", რეომელიც ისევ ჩვენი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა (55:5) თავი გამოიჩინეს გიორგი როზომაშვილმა და ლუკა ცუკილაშვილმა.

ტურნირი 30-31 მარტს გაგრძელდება და ჩვენს მორაგბეებს ისევ ნუცუბიძის პლატოს რაგბის ახალ სტადიონზე მოუწევთ თამაში.

გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება გასული, 2018 წლის გაზაფხულის და შემოდგომის ტურნირების სტატისტიკური მონაცემები: სულ 2018 წელს ჩვენმა მორაგბეებმა 59 შეხვედრა ჩაატარეს, აქედან 8 და 10 წლიანებმა ითამაშეს 56 შეხვედრა; 12 და 14 წლიანებმა – 3 შეხვედრა.

8 და 10 წლიანებმა მოიგეს 43 შეხვედრა, წააგეს 12 და 1 ფრედ დაამთავრეს. 12 წლიანებმა 14 წლიანებმა ითამაშეს 3 შეხვედრა, ერთი ითამაშეს ფრედ, 2 თამაში მოიგეს.

რაგბი ყოველდღიურად პოპულარული ხდება საქართველოში და იმედია ჩვენი მორაგბეები თავს გამოიჩენენ შემდგომ ტურნირებზე.

**გიორგი მამულაშვილი,**
**მორაგბეთა გუნდის მწვთნელი,**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ იანვრამდე შეუსრულდებათ, შესაძლოა, პირველ კლასში მიიღონ

ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ იანვრამდე შეუსრულდებათ, შესაძლოა, პირველ კლასში მიიღონ. ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანოში პეტიცია არის შესული. ინიციატივა 402 მოქალაქის მიერ არის წარდგენილი.

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით კი პეტიციის განხილვა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს დაევალა.

ვითხოვთ, შევიდეს ცვლილება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, კერძოდ, სკოლაში მიიღებოდნენ ის ბავშვები, რომელთაც 31 დეკემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ 6 წელი. ან/და მიღება იყოს ინდივიდუალური, ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის და მისი შეფასების, გამოცდის/გასაუბრების საფუძველზე. მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არ უშვებს გამონაკლისს, უამრავი ბავშვის უფლებები იზღუდება", – აღნიშნულია პეტიციაში.



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი". გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86